# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge







იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძო-ლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


პარასკევი, 27 იანვარი. 2017 წ. №19 (8156), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


## ხელისუფლების ახალმა ინიციატივამ კონსტიტუცია უნდა გაამყაროს!



ღია წერილი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ **ირაკლი კობახიძეს**

④

## კაცის ბედი და ღირსება....

**რუსლან რუსიას**



შემოქმედის სიდიადე
მისივ სიყვარულშია,
შენს გვერდში ვარ სიკვდილამდე,
მართლის სიტყვა გულშია.
ჩუმად ვამბობ, არ ვღრიალებ,
სიტყვას ციდან ვსწავლობდი
და შენ თუკი გაღიარებ,
მხოლოდ უფლის წყალობით.
ის გაქვს, ღმერთმა რაც მოგმადლა
ციდან თოვლის ფერებად.
ვლოცავ მე შენს კაცობას და
კეთილგონიერებას.
თასი ღვინით აივსება,
შენ არასდროს შეგშლია,
კაცის ბედი და ღირსება,
რა თქმა უნდა, შენშია!

ჯანსუღ ჩარკვიანი

იხ. 6-7 გვ.



## თანამდებობა წარმავალია, კაცობა – მუდმივი

## ხშირად გაბრაზდით, პრემიერო!

③

## კორუფცია მსოფლიოში და კორუფცია საქართველოში

⑤

## რეკორდები „ქართული ტურიზმის" ისტორიაში

⑧

კანონი კანონია

## სიმართლე კი ასეთია!

**ახალი** სპორტული სეზონი ეს-ესაა დაიწყო და მეხიც გავარდა.

საუბარია ქართული ოლიმპიური ოჯახის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე, რომლებიც, თუ საქმის არსს ჩავუღრმავდებით, ბუზის სპილოდ წარმოჩენის მცდელობას ჰგავს. ყოველ შემთხვევაში, ჯერ-ჯერობით ასეთი შთაბეჭდილება იქმნება.

აგორებული სკანდალის სამართლებრივ ასპექტებს მე-10 გვერდზე გაეცნობით, ქვემოთ კი გთავაზობთ ამ თემაზე სეოკ-ის პირველი ვიცე-პრეზიდენტის **ელგუჯა ბერიშვილის** კომენტარს:

**უპირველეს ყოვლისა, მინდა გითხრათ, რომ რამდენიმე მედიასაშუალებამ გაავრცელა არასწორი ინფორმაცია თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინების თაობაზე, თითქოს საქმეზე მიღებულია საბოლოო გადაწყვეტილება და ბათილად არის ცნობილი სეოკ-ის 2016 წლის 23 დეკემბრის სესიის შედეგები. არადა, სასამართლომ მიიღო შუალედური გადაწყვეტილება უზრუნველყოფის ღონისძიებასთან დაკავშირებით. ამის შესახებ ოფიციალური განცხადება თავად სასამართლომაც გააკეთა.**




**ასე რომ, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ჩვეულებრივ რეჟიმში მუშაობს და დაველოდებით საქმის არსებით განხილვას. დარწმუნებით შემიძლია, გითხრათ, რომ სეოკ-ის პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატის ირაკლი მეძმარიაშვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდება ერთი მარტივი მიზეზის — მისი უსაფუძვლობის გამო. ჩვენ უკვე მივიღეთ სასამართლოს განჩინება, სადაც ასეთი რამ წერია: „სეოკ-ის წესდებით განსაზღვრული საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის იმერეთის რეგიონალური ორგანიზაცია, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ქვემო ქართლის რეგიონალური ორგანიზაცია, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაცია, საქართველოს ოლიმპიელთა კლუბი და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სპორტსმენთა კომისია იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირებული არ არის."**

**საქმე კი პირიქითაა — გარდა სპორტსმენთა კომისიისა, დანარჩენი ორგანიზაციები რეგისტრირებულია კანონის დაცვით და ამის გადამოწმება ნებისმიერ პირს შეუძლია იუსტიციის სამინისტროს საიტზე. რაც შეეხება სპორტსმენთა კომისიას, ეს არის საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის და ჩვენი წესდების შესაბამისად, სეოკ-ის ფარგლებში შექმნილი ორგანიზაცია, რომლის ბოლო სხდომაც შარშან ნოემბერში გაიმართა. ამ სხდომაზე კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს ჩვენი სახელოვანი ძიუდოისტი, რიოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი ვარლამ ლიპარტელიანი. იმ სხდომის გადაწყვეტილებით, სწორედ ლიპარტელიანი და მშვილდოსნობაში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ქრისტინე ესებუა მიავლინეს სეოკ-ის სესიის დელეგატებად. აქვე გეტყვით, რომ სესიაში მონაწილე ორგანიზაციების 99 პროცენტს, მათ შორის 41 სპორტულ ფედერაციას სესიაზე დელეგატებად წარმოადგენდნენ ამ ორგანიზაციების პრეზიდენტები. ამის შემდეგ სესიის ლეგიტიმურობაზე საუბარი, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულია.**

ელგუჯა ბერიშვილი

გილოცავთ ნინოობას!



„გაემგზავრე იბერიაში, დაამკვიდრე იქ სახარება და მე ვიქნები შენი შემწე... ჯვარი ვაზისა იქნება შენი მფარველი გაჭირვებაში, ყოველი ხილული და უხილავი მტრის წინააღმდეგ"...




# ევროკავშირი ეხმარება საქართველოს!

**26 იანვარს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტის, „ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შესაძლებლობების გაძლიერების“ შედეგები შეჯამეს.**

ღონისძიების მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა პირველმა ვიცე-პრემიერმა, ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა. პირველმა ვიცე-პრემიერმა დადებითად შეაფასა ტრენინგების შედეგები, რომლებიც ჩატარდა პროექტის ფარგლებში. მისი თქმით, ამ ხნის მანძილზე მოხდა საგამოძიებო სამსახურისა და მისი ადამიანური რესურსების, პრაქტიკულად სრული შეფასება, ასევე საკანონმდებლო ბაზის შესწავლა სხვადასხვა მიმართულებით.

**„საკმაოდ კარგი ინფორმაცია გამოაქვეყნა „საერთაშორისო გამჭვირვალობამ“ — კორუფციის ინდექსის“ და „კორუფციის მსოფლიო ინდექსის“ მიხედვით ჩვენ 52-ე ადგილიდან 44-ე ადგილზე გადმოვედით. ეს ძალიან მნიშვნელოვანია,“** — განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

პირველმა ვიცე-პრემიერმა დიმიტრი ქუმსიშვილმა დიდი მადლობა გადაუხადა ევროკავშირის მხარეს იმისთვის, რომ შეიქმნა შესაძლებლობა, მომხდარიყო როგორც კანონმდებლობის ჰარმონიზაცია, ისე ინსტიტუციონალური დაახლოება და სტანდარტიზაცია. პროექტის მიზანი იყო ეკონომიკური და ფინანსური დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლაში ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მხარდაჭერა. პროექტის ფარგლებში შემუშავდა საგადასახადო თაღლითობის, გადასახადებთან და ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევასთან დაკავშირებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის რეკომენდაციები.

პროექტის დახმარებით გაუმჯობესდა საგამოძიებო სამსახურის შიდა პროცესები.

# „100 მედეგი ქალაქი“

**როკფელერის ფონდის მიერ შექმნილი „100 მედეგი ქალაქის“ ფარგლებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პირველი სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაში, რომელიც თბილისის მერმა დავით ნარმანიამ გახსნა, მედეგობის მთავარი მრჩევლები ბარსელონადან, ბრისტოლიდან და პარიზიდან; ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, კვლევითი და სამეცნიერო დაწესებულებების, ასევე, კერძო სექტორის წარმომადგენლები მონაწილეობენ.**

თბილისის მერის თქმით, თბილისი მსოფლიოს „100 მედეგი ქალაქის“ ქსელს 2016 წლის მაისში შეუერთდა. ნარმანიას განცხადებით, პროექტის ფარგლებში, თბილისი 21-ე საუკუნის გამოწვევების დაძლევაში ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას მიიღებს.

**„მნიშვნელოვანია ის, რომ თბილისი აღმოსავლეთ ევროპასა და პოსტსაბჭოთა სივრცეში არის ერთადერთი ქალაქი, რომელიც ამ ქსელში ჩაერთო. პროექტის ფარგლებში, თბილისი როგორც ფინანსურ დახმარებას, ასევე საექსპერტო მომსახურებას მიიღებს, რათა ჩვენი ქალაქი გახდეს უფრო მეტად მედეგი, შოკების და რისკების რეაგირება კი იყოს უფრო ოპერატიული. ამ თვალსაზრისით, ჩვენ ძალიან ბევრი წამყვანი ქალაქების გამოცდილებას შევისწავლით, ექსპერტები კი დაგვეხმარებიან იმაში, რომ ჩვენს ქალაქს ჰქონდეს შესაბამისი სტრატეგია და ფუნქცია- მოვალეობები“,** — განაცხადა დავით ნარმანიამ.

„100 მედეგი ქალაქი“ ითვალისწინებს ქალაქების მედეგობას სტიქიებთან ბრძოლისა და სირთულეების დროული დაძლევის თვალსაზრისით, რომელთა შორისაა, უმუშევრობის მაღალი დონე, არაეფექტური სატრანსპორტო სისტემა, ენდემური ძალადობა და ა.შ.

**„100 მედეგი ქალაქის“ ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონული დირექტორის სტიუარტ სარკოზი-ვანოჩეს თქმით, ეს არის პირველი სამუშაო შეხვედრა პროექტ“ 100 მედეგი ქალაქის“ ფარგლებში. მისივე განმარტებით, შეხვედრის მთავარი მიზანი სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლების შეხვედრა და იმის დადგენაა, თუ რა გამოწვევების წინაშე დგანან ქალაქები. როგორც სტიუარტ სარკოზი-ვანოჩემ განაცხადა, თბილისი, როგორც „100 მედეგი ქალაქის“ ქსელის მონაწილე, მიიღებს ტექნიკურ დახმარებასა და საჭირო რესურსებს, რათა, მომავალი წლების განმავლობაში, შექმნას და განახორციელოს მედეგობის სტრატეგია. ქსელში ჩართული ყოველი ქალაქი მიიღებს ფინანსურ და მატერიალურ-ტექნიკურ მხარდაჭერას, რათა ქალაქის მთავრობაში შეიქმნას ახალი, ინოვაციური თანამდებობა — მრჩეველი მედეგობის საკითხებში, რომელიც მედეგობისაკენ მიმართული ქალაქის ქმედებებს ჩაუდგება სათავეში.**

„100 მედეგი ქალაქი როკფელერის ფონდის მიერ დაფუძნდა. ეს არის საგრანტო პროგრამა, რომელიც, მსოფლიოს მასშტაბით, ხელს უწყობს ქალაქების მედეგობის გაძლიერებას ფიზიკური, სოციალური და ეკონომიკური გამოწვევების წინაშე.




# დევიდ ჯენკინსი: „გუდაური ძალიან კარგად განვითარებული კურორტია, შესანიშნავი გარემოთი“

**„მოხარული ვარ გუდაურში ყოფნით. „რედისონი“ გუდაურს დიდი ხნის განმავლობაში ეძებდა და შედეგი უკვე აშენებული კომპლექსია — „რედისონ ბლუ“ 100 ოთახით, რომლის მფლობელიც „რედკო“ გახლავთ. გუდაური ძალიან კარგად განვითარებული კურორტია, გარემო კი შესანიშნავი. ჩვენ ბევრი ვიმსჯელეთ და უფრო დიდი კომპლექსის აშენებას ვაპირებთ — მეტი ოთახებით, მეტი რესტორნებით და შეხვედრის ადგილებით. ჩვენ ამას ვაპირებთ არამარტო ზამთრის სეზონისთვის — გუდაური მთელი წლის განმავლობაში უნდა გავააქტიუროთ“,** — განაცხადა Carlson Rezidor Hotel Group-ის ვიცე-პრეზიდენტმა დევიდ ჯენკინსმა.



მისივე თქმით, კომპანიის გეგმები მხოლოდ ამ კომპლექსით არ შემოიფარგლება, რადგან საქართველოში კარგი პირობებია ტურიზმის განვითარებისათვის. **„გუდაურის გარდა, ვაპირებთ სასტუმრო ავაშენოთ ბათუმში, წინანდალში და თბილისში. მოხარულები ვართ, როცა სტუმარი ჩვენი მომსახურებით კმაყოფილია და პორტფოლიოს გაფართოების საშუალებას იძლევა“,** — აღნიშნა ჯენკინსმა.

სასტუმრო „Radisson Blu Gudauri 150 ნომრით და მაღალი კლასის სასტუმროსთვის დამახასიათებელი ყველა იმ საჭირო ინფრასტრუქტურით იქნება წარმოდგენილი, როგორებიცაა რესტორნები და ბარები, საკონფერენციო დარბაზები, სპა ღია და დახურული აუზი, გასართობი ცენტრი და ა.შ. ამ ეტაპზე სასტუმროს პროექტირებაზე გერმანელი და ქართველი არქიტექტორების ჯგუფი მუშაობს.

„რედ-კოს“ ინფორმაციით, თავდაპირველი გეგმით, სასტუმრო „Radisson Blu Gudauri“-ს გახსნა იგეგმებოდა კურორტზე უკვე არსებულ შენობაში, რომელიც გათვლილი იყო 100 ნომერზე, თუმცა, კურორტის პოტენციალის შეფასების შედეგად, კომპანია Carlson Rezidor Hotel Group-მა გადაწყვიტა უფრო მსხვილი სასტუმროს მშენებლობა. მათი ინფორმაციით, ეს იქნება პირველი ხუთვარსკვლავიანი საერთაშორისო ბრენდის სასტუმრო მთის კურორტზე არამარტო საქართველოში, არამედ კავკასიის რეგიონში.

# გვექნება რაგბის ახალი სავარჯიშო მოედანი

**თბილისს 2017 წელს რაგბის თანამედროვე სტანდარტების ახალი სავარჯიშო მოედანი ექნება. რაგბის მოედანი ვაზისუბნის მე-4 მიკრორაიონში 120X75 კვ/მ-ფართობზე განთავსდება.**

მშენებლობის დაწყებასთან დაკავშირებით, საძირკველში სიმბოლური კაფსულა თბილისის მერმა დავით ნარმანიამ საკრებულოს თავმჯდომარესთან გიორგი ალიბეგაშვილთან და საქართველოს სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრთან ტარიელ ხეჩიკაშვილთან ერთად ჩადო. ქალაქის მერმა შეკრებილ სტუმრებს სიტყვით მიმართა და პროექტის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

ქალაქის მერმა შეკრებილ სტუმრებს სიტყვით მიმართა და პროექტის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

**„ქალაქის მერმა „პროექტი ძალიან საინტერესოა იმით, რომ ეს იქნება მრავალფუნქციური კომპლექსი, რომელიც ამ უბანს მნიშვნელოვნად გააცოცხლებს და უბნის სპორტულ ცხოვრებას სხვა ეტაპზე გადაიყვანს. აღნიშნულ პროექტს ჩვენ წელსვე დავასრულებთ და ამ ტერიტორიაზე მოვაწყობთ სათანადო ინფრასტრუქტურით აღჭურვილ და ყველა სტანდარტით უზრუნველყოფილ მოედანს იმისთვის, რომ ჩვენმა მომავალმა თაობამ ჯანსაღი ცხოვრების წესით იცხოვროს და ამ უბანს დავატყოთ ჩვენი ხელი,“ — განაცხადა დავით ნარმანიამ.**

პროექტის მიხედვით, ტერიტორიაზე მოეწყობა ხელოვნურსაფარიანი მოედანი, აშენდება 400 გულშემატკივარზე გათვლილი ტრიბუნა, ადმინისტრაციული შენობა კი 500 კვ/მ-ზე განთავსდება. სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია „საბა კონსტრაქშენი“ განახორციელებს. სამშენებლო სამუშაოები 2017 წლის ივლისში დასრულდება.

პროექტის განსახორციელებლად დედაქალაქის ბიუჯეტიდან 1 716 440 ლარი გამოიყო.



◉ თანამდებობა წარმავალია, კაცობა — მუდმივი

# ხშირად გაბრაზდით, პრემიერო!



**გუშინ პირველად ვნახე გაბრაზებული გიორგი კვირიკაშვილი.**

სხვათა შორის, უხდებოდა.

კარგია კულტურული კაცის იმიჯი, მაგრამ ხანდახან გაფიცხებაც უნდა შეგეძლოს.

მით უფრო მაშინ, როცა მთავრობის მეთაური ხარ.

თანაც როგორი მთავრობის?! — გარედან ორთავიანი არწივი რომ მუდმივად ემუქრება, შიგნიდან კი უკვე ორთავა ნაცნაგაზი რომ უყეფს (სხვებზე — ფინიებზე რომ აღარაფერი ვთქვათ).

აქეთ — მელია, იქით — მელიაზე უარეს(ებ)ი.

ურცხვები.

უტიფრები.

თანამდებობ(ებ)ისთვის შეუფერებლები.

თანამდებობები?! — გაგიხარიათ!

უხვად აქვთ!

გაჭირვებული ქვეყნის მუქთახორები.

საინტერესოა, დილით რომ იღვიძებენ, საკუთარ თავ(ებ)ს თუ ეკითხებიან, სად მიდიან და რა საქმე აქვთ?

საღამოს რომ საკუთარ თავ(ებ)ს არ ჰკითხავენ, „აბა დღეს მე ვის რა ვარგე"-ო, ეს ხომ ცხადზე უცხადესია.

აქ, თბილისში, კიდევ ჯანდაბას, მაგრამ ქუთაისშიც რომ სულ ტყუილად დადიან?!

სულ ტყუილად რომ ვაჭმევთ პურსა?!

თუმცა, ეს ყველაზე როდი ითქმის.

მაგალითად, ლუარს... უკაცრავად, ლევან ბერძენიშვილმა, ამას წინათ, ტელევიზიით, სრულიად მოურიდებლად აგვიხსნა, თუ რატომ იყო სასარგებლო, სახელმწიფოს ხარჯზე(პერსონალური მანქანით!), ქუთაისში მისი სიარული. თურმე, გზაში...ჰომეროსს თარგმნიდა. იმ თარგმანს ნამდვილად ეტყობა, გზაში რომაა შესრულებული, მაგრამ ამას ადვილად ეშველება — სხვა თარგმანს წავიკითხავთ, მაგრამ ამათ რა ეშველებათ?!

რაც მთავარია, რა ეშველება (ამათ ხელში) ჩვენს ბედკრულ სამშობლოს?

* * *

გუშინ ძალიან გაცხარდით.

ნაცთა მორიგმა უტიფრობამ გაგაბრაზათ.

ეს უღირსები სამშობლოს სიყვარულსა და ჯარისკაცების პატივისცემას როგორ გვასწავლიანო?!

რაღას არ გასწავლიან, ბატონო პრემიერო?!

ძალიან მიუშვით და იმიტომ!

კარგია, რომ გაბრაზდით, მაგრამ რაჭველივით მოგივიდათ.

უფრო ადრე უნდა გაბრაზებულიყავით.

საპარლამენტო სიაზე;

ზოგიერთი მინისტრის კანდიდატურაზე;

მოსამართლეობის კანდიდატების გამო...

ერთგულება ყველაფერზე თავის კანტურით არ იზომება.

ხშირად — პირიქით.

**თავის დროზე, ივანიშვილისთვის ვინმე ერთგულს რომ ეთქვა, კაროჟნასავით რომ დაატარებ ამ მარგველაშვილს(ვით შევარდნაძე — მიშას), მართლა ანგელოზი ნუ გგონიაო, ხომ არ გვეყოლებოდა დღეს პრეზიდენტი, რომლის საქციელი სრულ უნისონშია ნაცებთან და არასამთავრობოებთან?!**

უპირველესად, სამშობლოს ერთგულნი უნდა ვიყოთ!

გუშინ თქვენ ბევრი წესიერი მოქალაქის სიმპათია დაიმსახურეთ.

ასე რომ, ხშირად უნდა გაბრაზდეთ, ბატონო პრემიერო!

ნურასოდეს შეურიგდებით უტიფრობას.

თუნდაც თანამდებობის დაკარგვად დაგიჯდეთ.



თანამდებობა ისედაც წარმავალია.

კაცობა — მუდმივი.

ხშირად გაბრაზდით, პრემიერო!

მე თქვენ გეტყვით და საბაბს არ მოგცემენ...

**იოსებ ჭუმბურიძე**

## ზურაბ გვასალია:

# ბანკებს სესხების გასალარებლად 5000-ზე მეტმა ადამიანმა მიმართა



კომერციულ ბანკებს სავალუტო სესხების გალარების წინადადებით 5000-ზე მეტმა ადამიანმა მიმართა, მათგან, 250-ზე მეტმა საკუთარი სესხი უკვე გაალარა. საქართველოს ბანკების ასოციაციის პრეზიდენტ ზურაბ გვასალიას განცხადებით, კომერციულმა ბანკებმა მათთვის გამოყოფილი 5 სამუშაო დღის განმავლობაში გალარების ყველა პოტენციურ მონაწილეს შეატყობინეს პროგრამაში მათი მონაწილეობის შესახებ.

**„გალარება ერთჯერადი და დროით შემოფარგლული პროგრამაა. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ მის ყველა პოტენციურ მონაწილეს მიეცეს შესაძლებლობა, საკუთარი სადოლარე სესხი ლარში გადაიყვანოს. ბუნებრივია, საბოლოო გადაწყვეტილება მსესხებელმა უნდა მიიღოს, თუმცა, დარწმუნებული ვარ, თითოეული მსესხებლისთვის კომერციულ ბანკებს შორის დიდი კონკურენცია იქნება, მით უფრო, რომ პროგრამის მონაწილეებს შეუძლია მომსახურე ბანკის შეცვლა და სესხის იქ გალარება, სადაც უკეთეს პირობებს შესთავაზებენ. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ საშუალო პროცენტი, რომელიც გალარებისას დაფიქსირდა, საბაზროა და 10-11 პროცენტის ფარგლებში მერყეობს,"** — განაცხადა ბანკების ასოციაციის პრეზიდენტმა ზურაბ გვასალიამ. მისი თქმით, გალარების პროგრამაში მონაწილეობა მსესხებელს საშუალებას აძლევს, სავალუტო კურსზე დამოკიდებული არ იყოს და შეძლოს საკუთარი შემოსავლის განკარგვის პროგნოზირება. სესხების გალარების პროგრამა 17 იანვარს დაიწყო. ის 2 თვე გაგრძელდება.

# ავანსი დაიბეგრება დღგ-თი



**შემოსავლების სამსახურის უფროსის გიორგი თაბუაშვილის განცხადებით, კანონში ცვლილება უკვე განხორციელებულია, ამიტომ ავანსი დაიბეგრება დღგ-თი.**

თაბუაშვილის თქმით, აღნიშნული ცვლილება ევროკავშირთან აღებული ვალდებულებების პროცესში განხორციელდა. რაც შეეხება ბიზნესის ბრალდებებს იმის შესახებ, რომ მათ ინფორმაცია არ ჰქონდათ აღნიშნულთან დაკავშირებით და მხოლოდ წინასაახალწლოდ გაიგეს, შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელი პასუხობს, რომ ზუსტად არ იცის და შეიძლება, ზოგს მეტი ინფორმაცია ჰქონდა, ზოგს — ნაკლები.

◉ ეკოლოგიურად სუფთა, ულევი ენერგია

# მზის ელექტროსადგურის მშენებლობის პერსპექტივა საქართველოში

**ქარის პირველი ელექტროსადგურის პროექტის განხორციელებისა და მეორეზე ინტერესთა გამოხატვის გამოცხადების შემდეგ, საქართველოს მთავრობა აპირებს მზის ელექტროსადგურის მშენებლობის პერსპექტივა შეისწავლოს.**

საქართველოს მთავრობასა და სს „კავკასიის მზის კომპანიას" შორის საქართველოში ასაშენებელი მზის ელექტროსადგურის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ჩატარებაზე ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდება.

მემორანდუმით გათვალისწინებული იქნება ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ჩატარება შემდეგი მზის ელექტროსადგურების მშენებლობის მიზნით: „ქსნის მზის ელექტროსადგური", „მარნეულის მზის ელექტროსადგური"; კასპის მზის ელექტროსადგური; „გლდანის მზის ელექტროსადგური"; „ახალციხის მზის ელექტროსადგური 1"; „ახალციხის მზის ელექტროსადგური 2"; „გარდაბნის მზის ელექტროსადგური 1"; „გარდაბნის მზის ელექტროსადგური 2".

სს „კავკასიის მზის კომპანიას" მიეცემა უფლება 18 თვის განმავლობაში შესაბამის ტერიტორიებზე სრულყოფილი ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევები ჩაატაროს და ისინი საქართველოს მთავრობას წარუდგინოს, რის საფუძველზეც მიღებული იქნება გადაწყვეტილება მშენებლობის თაობაზე. მშენებლობის შემთხვევაში თითოეული სადგურის სავარაუდო დადგმული სიმძლავრე 50 მგვტ იქნება.

კვლევები სოფელ ქსნის, მარნეული-რუსთავის, ახალციხე-ბორჯომის მიმდებარე ტერიტორიებზე და კასპისა და თბილისის მუნიციპალიტეტებში ჩატარდება.

საქართველოში, მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, მზის ეფექტური და ხანგრძლივი გამოსხივება საკმაოდ მაღალია. ექსპერტების ინფორმაციით, საქართველოს უმეტეს რაიონებში მზის ნათების წლიური ხანგრძლივობა 250-დან 280 დღემდე მერყეობს, რაც წელიწადში დღის ხანგრძლივობის მიხედვით, დაახლოებით, 1 900-2 200 საათს შეადგენს. საქართველოს ტერიტორიაზე მზის წლიური ჯამური რადიაცია, რეგიონების მიხედვით, 1 250-1 800 კვტ.სთ/მ$^2$ დიაპაზონში მერყეობს, ხოლო მზის საშუალო რადიაცია დღეში 4,2 კვტ.სთ/მ$^2$-ს უტოლდება. მზის ენერგიის სრული წლიური პოტენციალი საქართველოში შეფასებულია 108 მვტ-ით, რაც წლიურად 34 ათასი ტ. პირობითი სათბობის ეკვივალენტურია.



ექსპერტები აღნიშნავენ, რომ აღმოსავლეთი საქართველო გაცილებით მზიანია, ვიდრე დასავლეთი.

სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს ინფორმაციით, გასული საუკუნის ბოლო წლებში საქართველოში ფართოდ გავრცელდა მზის ენერგიით თბომომარაგების სისტემები.

მზის ენერგია საქართველოში შესაძლებლობას იძლევა მივიღოთ 40-50c ტემპერატურის წყალი. საქართველოს პირობებში, მთაგორიან ადგილებში მდებარე, ძნელად მისასვლელი და მცირედ დასახლებული სოფლების, გეოლოგიური პარტიების, მწყემსების, სამთამადნო სამუშაოების, სამხედროსაველე პირობების, კავშირგაბმულობის (სატელეკომუნიკაციო) სარეტრანსლაციო სადგურების, საავარიო სიტუაციების ენერგიით მომარაგების ოპტიმალური ვარიანტია მზის ენერგიის გარდამქმნელები.

**ნინო ევგენიძე**

# ღია წერილი

## საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ ირაკლი კობახიძეს



# ხელისუფლების ახალმა ინიციატივამ კონსტიტუცია უნდა გაამყაროს!

**ბატონო ირაკლი,**

**საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენიდან მეოთხედი საუკუნის შემდეგ კვლავ გადაუჭრელია ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის რესურსის — მიწის ფონდის სახელმწიფოს მიერ რეგულირების პრობლემა. კერძოდ, საქმე ეხება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გასხვისებას.**

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ მთავრობაში მსვლელობა მიეცა ერთი წლის წინათ შეჩერებული კანონპროექტის — „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ — განხილვას.

იმისათვის, რომ არ მოხდეს კიდევ ერთი მორიგი (მეთერთმეტე!) ცვლილება მოცემულ კანონში, რომელიც ისედაც რამდენიმე მუხლიღაა დარჩენილი, ჩვენი წინადადებაა:

1. შეჩერდეს ცვლილებების შეტანა და უპირველესად გამყარდეს სახელმწიფოს უზენაესი კანონის — კონსტიტუციის შესაბამისი მუხლი, რომელიც დაარეგულირებს მიწის საკუთრებით ურთიერთობებს უცხოელებთან მიმართებაში. საშუალება აღარ უნდა მიეცეს ისეთ დამოკიდებულებებს კანონების მიმართ, როგორიც საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიჩინა მიწის გასხვისებასთან მიმართებაში.

2. კანონისმიერი პირობები და შეზღუდვები განისაზღვროს საყოველთაო-სახალხო განხილვის (სულაც რეფერენდუმის) საფუძველზე — ვინაიდან, არ არსებობს სტანდარტული კრიტერიუმები იმის დასადგენად, თუ მიწაზე საკუთრების რეგულირების რომელი ფორმა შეესაბამება ქვეყნის საზოგადოების კეთილდღეობას, მის ინტერესებს — ეს ხალხის გადასაწყვეტია და არა რომელიმე ჯგუფის, ან გუნდის (იქნება ეს სამთავრობო, მეცნიერთა თუ პოლიტიკოსთა).

გასხვისების უფლებას საკუთრების გარანტირებულობის ბირთვად მიიჩნევენ, ამიტომ გასხვისების აკრძალვების ან/და მისი შეზღუდვების დასაბუთების საფუძველს მხოლოდ საზოგადოების ინტერესი უნდა შეადგენდეს; ხოლო, კანონმდებლისა და აღმასრულებელი ხელისუფლების ამოცანაა მოძებნოს ოპტიმალური თანაფარდობა საკუთრების პოლიტიზებასა და პიროვნების გარანტირებულობას შორის.

კონსტიტუციაში რედაქციული ხასიათის ცვლილებაა საჭირო საკუთრებასთან დაკავშირებული ნორმის ერთმნიშვნელოვნად გაგებისთვის.

საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება აღიარებულია და უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით:

„დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება.“

მაგრამ იგივე მუხლი ითვალისწინებს ამ საერთო წესიდან გამონაკლისებსაც:

1. „საკუთრების უფლება შეიძლება შეიზღუდოს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, მაგრამ მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით;

2. საკუთრების უფლება შეიძლება ჩამორთმეულ იქნას აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, მაგრამ ასევე მხოლოდ კანონით პირდაპირ დადგენილ შემთხვევებში ...“

საქართველოს კონსტიტუცია განამტკიცებს საკუთრების უფლებას, მაგრამ არ იძლევა მის ცნებას. იგი მხოლოდ იმ პრინციპებს განსაზღვრავს, რომლებსაც ემყარება საკუთრება — გარანტირებულობა, შეზღუდვის შესაძლებლობა, მესაკუთრის ინტერესების დაცვა სასამართლოს მეშვეობით. ფაქტობრივად, ეს არის იმ სივრცის განსაზღვრა, რომლის შიგნითაც კანონმდებელმა უნდა მოაწესრიგოს საკუთრების ურთიერთობები. საკუთრების ფარგლებს და მის კონკრეტულ შინაარსს ძირითადი კანონი — კონსტიტუცია არ განსაზღვრავს, ეს მიმდინარე კანონმდებლის ამოცანაა, საკუთრების დაცვის კონსტიტუციური გარანტიების ფარგლების ხელყოფის გარეშე.

აქედან გამომდინარე, კანონმდებლისთვის მყარად უნდა იქნას ჩამოყალიბებული ის ფარგლები, რომლიდანაც მას არ შეეძლოს გასვლა.

21-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტები კი, მიწის მიმართ ბუნდოვნად ასახავენ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის კანონმდებლის მიერ გამოყენების ფარგლებს. ამიტომ, ნაცვლად ორჯერ განმეორებული სიტყვებისა: „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის“, პირველი პუნქტი უნდა შეიცვალოს სიტყვებით: „ქვეყნისათვის აუცილებელი საჭიროებიდან გამომდინარე“, რომელსაც უშუალოდ შეესაბამება „შეზღუდვა“; ხოლო „ჩამორთმევა“ ყველა შემთხვევისათვის შესაბამისობაში იქნება „აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებასთან“.

ამრიგად, ჯერ კონსტიტუციურად გარკვევით ჩამოყალიბდეს საკუთრებასთან (მათ შორის მიწასთან) დაკავშირებული ნორმა, შემდეგ მის საფუძველზე მიღებულ იქნას სრულფასოვანი დარგობრივი კანონი — მიწის კოდექსი და ჩამოყალიბდეს ცივილიზებული სამოქალაქო ურთიერთობები მიწასთან დაკავშირებით.

მიწის კოდექსით განსაზღვრულ მიწის რეგულაციებში გათვალისწინებული უნდა იქნას რთული შემადგენლობისა და სტრუქტურის მქონე მრავალი ფაქტორი — ისტორიული მემკვიდრეობის, ტრადიციული, სოციალურ-ეკონომიკური, ლანდშაფტურ-ეკოლოგიური, პოლიტიკური, ფსიქოლოგიური და ა.შ., აგრეთვე, საქართველოს ტერიტორიული ადგილმდებარეობის განსაკუთრებულობით განსაზღვრული მიწის რეგულაციები.

აქედან გამომდინარე, მიწის საკუთრების დაცვა კანონმდებლის მხრიდან, ჩვენ შემთხვევაში აუცილებელია ითვალისწინებდეს შეზღუდვების დაწესებას, მაგრამ ამავე დროს, მნიშვნელოვნად არ აზიანებდეს საკუთრების უფლებას.

დღემდე მიწასთან დაკავშირებული კანონები ფრაგმენტულია და ხდება მათში გაუთავებელი ცვლილებები. განსაკუთრებით ბევრია ცვლილებები სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრებასთან დაკავშირებით. არსებული ცვლილებები (საკონსტიტუციო სასამართლოს ორჯერ განხორციელებული ცვლილებების ჩათვლით) გამოირჩევა ურთიერთგამომრიცხავი, ნონსენსური დასაბუთებულობებით, შექმნილია სახელმწიფო პიარი ინტერესების დასაცავად და არა საზოგადოების განვითარების სასარგებლოდ.

იმავე გზის გაგრძელებაა ზემოთ ხსენებული კანონპროექტი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

წარმოდგენილი კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებების მიზეზი მოცემულია განმარტებით ბარათში, სადაც ნათქვამია, რომ „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე უცხოელთა საკუთრების უფლების შეზღუდვის მიზანია მიწის, როგორც ამოწურვადი რესურსის, რაციონალური გამოყენების საფუძველზე ორგანიზებული მეურნეობის უზრუნველყოფა და აგრარული სტრუქტურის გაუმჯობესება.“?! აქ კომენტარის გაკეთებაც კი შეუძლებელია პოზიციის ნონსენსურობიდან გამომდინარე. (ა.ა) მიზნის შესახებ ნათქვამია:

„ა.ბ) კანონპროექტის მიზანი 2014 წლის 24 ივნისის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო და ძალადაკარგულად გამოაცხადა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის ნორმა, რომლითაც უცხოელებს და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უცხოელის მიერ საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს 2014 წლის 31 დეკემბრამდე შეუჩერდათ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების უფლება.

მორატორიუმის მოქმედების პერიოდში საქართველოს მთავრობა მიზნად ისახავდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე უცხოელის საკუთრების უფლების ამსახველი ისეთი დაბალანსებული მექანიზმის შემუშავებას, რომელიც უზრუნველყოფდა, ერთი მხრივ, საჯარო ინტერესის დაცვას და სახელმწიფოს ეკონომიკურ სტაბილურობაზე უარყოფითი ზეგავლენის თავიდან აცილებას, ხოლო, მეორე მხრივ, მისაღებ პირობებს შეუქმნიდა საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენის მსურველ უცხოელებს, რომლებიც, საამისოდ აუცილებელი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, მოიპოვებდნენ ამ კატეგორიის მიწაზე საკუთრების უფლებას და მისი დამუშავებისა თუ ინვესტიციების განხორციელების გზით მონაწილეობას მიიღებდნენ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.“

რისი აღიარებაა ყოველივე ეს? - შეუსრულებლობის თუ შეუძლებლობის? პასუხი თვითონვე მოჰყავთ ცოტა ქვემოთ:

**„აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შემუშავებული კანონპროექტით უცხოელთა მიერ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების უფლების მოსაპოვებლად აუცილებელი პირობების განსაზღვრა ასევე ხელს შეუწყობს საქართველოს მთავრობის მიერ „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას, რომლის მიხედვითაც, ამ უკანასკნელმა 2014 წლის 30 ნოემბრამდე უნდა უზრუნველყოს:**

**- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის მიზნით;**

**- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფონდის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო რეგულირების განსაზღვრა;**

**- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწასთან დაკავშირებული ურთიერთობების საჯარო სამართლებრივი მოწესრიგება და სხვ.“**

აღნიშნული არც ვალდებულების შესრულებაა და არც ეს ჩამონათვალი არ არის სრული მიწის კოდექსისთვის.

რაც შეეხება თვით ცვლილებებს:

„1. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლება აქვთ:

ა) სახელმწიფოს, ადგილობრივ თვითმმართველობას, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, საქართველოს მოქალაქეს, კომლს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებს,

ბ) უცხოელს, თუ ის აკმაყოფილებს ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ პირობას:“...

კომენტირების ნაცვლად, კითხვა გვებადება კანონშემოქმედთან - საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები საერთოდ საქართველოში არიან დარეგისტრირებულები, თუ..... რატომ მოხვდნენ ა) ქვეპუნქტში და არა ბ) -ში?

კანონმდებელი არ განმარტავს საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების ქვეშ ვის გულისხმობს. სპეციალურ ლიტერატურაში ასეთად მიჩნეულია აზიის განვითარების ბანკი, არაბეთის სავალუტო ფონდი, ევრაზიის განვითარების ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და ა.შ. ამ ინსტიტუტებზე გეგმავს კანოპროექტის ავტორები შეუზღუდავად საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწების გაყიდვას? თუ საქართველოში რეგისტრირებულ რომელიმე იურიდიულ პირზე, რომელსაც სათაურში ფორმალურად ექნება დასახელება „საერთაშორისო ფინანსური“ და სინამდვილეში იქნება რომელიღაც პირის თუ პირთა ჯგუფის ინტერესების გამტარებელი.

**როგორიც არ უნდა იყოს შინაარსი, „ფინანსურ ორგანიზაციებზე“ სასოფლო სამეურნეო მიწების გაყიდვის დაშვება არ შეიძლება და, საერთოდ, ამ კანონპროექტის პარლამენტში წარდგენაც კი, არათუ მისი მიღება, იქნება ნაბიჯი საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ, მეტიც, სამშობლოს ღალატი!**

**ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, თქვენს ხელთ არსებული ყველა შესაძლებელი ძალისა და რესურსის გამოყენებით, წინ აღუდგეთ დასახელებული კანონპროექტის მიღებას, დააჩქაროთ მიწის კოდექსის მიღება და საქართველოს კონსტიტუციის ცვლილებების პროექტში ასახოთ შემოთავაზებული ცვლილება.**

პატივისცემით,

**პაატა კოღუაშვილი,**
პროფესორი,

**ჯუმბერ ფანჩულიძე,**
პროფესორი,

**ანზორ მესხიშვილი,**
პროფესორი,

**მიხეილ ჯიბუტი,**
პროფესორი,

**ზაურ ნაჭყებია,**
პუბლიცისტი.



# კორუფცია მსოფლიოში და კორუფცია საქართველოში

**კორუფცია ისევ აფერხებს ქვეყნების განვითარებას და აზარალებს ხალხების კეთილდღეობას — ასეთი სურათია ასახული ავტორიტეტიანი ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ სამდივნოს მიერ 25 იანვარს გამოქვეყნებულ ახალ ანგარიშში, სახელწოდებით „კორუფციის აღქმის ინდექსი 2016“. ამ ანგარიშის თანახმად, საქართველო, შარშანდელთან შედარებით, 5 ქულით დაწინაურდა და 57 ქულა დაიმსახურა. შესაბამისად, საქართველომ, 176 ქვეყანას შორის, 48-ე ადგილიდან 44-ე ადგილზე გადაინაცვლა. რამდენად ხელშესახებია საქართველოს წინსვლა და რა ფაქტორები განაპირობებს არსებულ რეალობას?**

მოკლედ რომ ვთქვათ, რაც უფრო მაღალია ქულა, მით უკეთესად არის ამა თუ იმ ქვეყნის საქმე. მაქსიმალური 100 ქულა არც ერთ ქვეყანას არ დაუმსახურებია, მაგრამ ჩამონათვალში 90-ქულიანი საუკეთესო მაჩვენებლით ახალი ზელანდია და დანია ლიდერობენ. ყველაზე უარესი მდგომარეობაა 10-ქულიან სომალიში, რომელსაც სულ მცირედით უსწრებენ სამხრეთ სუდანი და ჩრდილოეთ კორეა. საერთო სურათი აღფრთოვანების საფუძველს არ იძლევა — 176 ქვეყნიდან 2/3-ზე მეტმა საშუალო მაჩვენებლამდეც ვერ მიაღწია.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა“ აღნიშნავს, რომ წლევანდელმა ანგარიშმა გამოკვეთა კავშირი კორუფციასა და უთანასწორობას შორის და როცა ისინი ერთმანეთს ასაზრდოებენ, იქმნება მოჯადოებული წრე, როცა საზოგადოებაში არათანაბრად ნაწილდება ძალაუფლება და არათანაბრად ნაწილდება სიმდიდრე. როგორც ანგარიშის ავტორი ორგანიზაციის — „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ — ხელმძღვანელი ხოსე უგასი აღნიშნავს თავის წერილობით კომენტარში, იკვეთება თვალსაჩინო კონტრასტი:

**„ძალიან ბევრ ქვეყანაში ადამიანები მოკლებული არიან თავიანთ ყველაზე მთავარ საჭიროებებს და, კორუფციის არსებობის გამო, მშიერი იძინებენ ყოველღამე... ეს მაშინ, როცა კორუმპირებულები ფუფუნებაში ცხოვრებითა და დაუსჯელობით ტკბებიან“.**

„კორუფციის აღქმის ინდექსის“ თანახმად, ქვეყნებში, რომლებიც რეიტინგში დაბალ ადგილებს იკავებენ, ნაკლებია საზოგადოების ნდობა სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ და არაეფექტიანია ამ ინსტიტუტების — მაგალითად, პოლიციისა და სასამართლოს მუშაობა. ამასთან, ასეთ ქვეყნებში პრაქტიკულად არ მუშაობს კანონები, რომლებიც, შესაძლოა, არსებობდეს ფურცელზე, ხოლო დაუსჯელი ხელისუფალნი უკიდეგანოდ მდიდრდებიან ქვეყნის წინსვლის შეფერხების ხარჯზე.

რაც შეეხება მაღალრეიტინგიან ქვეყნებს, ასეთები ძირითადად მედიის თავისუფლებისა და ინფორმაციაზე წვდომის მაღალი ხარისხით გამოირჩევიან, უფრო მაღალ სტანდარტებს უწესებენ თანამდებობის პირთა კეთილსინდისიერებას და ასეთ ქვეყნებში გამართულად მუშაობს სასამართლო სისტემა. თუმცა, „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ აზრით, არც ეს იძლევა თვითკმაყოფილების საფუძველს, რადგან არც მაღალრეიტინგიანი ქვეყნები არიან დაზღვეული უკანონო გარიგებების, ინტერესთა კონფლიქტისა თუ უკანონო დაფინანსებისგან.

უხეშად რომ ვთქვათ, ქულების თვალსაზრისით საქართველო ბოლო წლებში სადღაც საშუალო მაჩვენებლებთან ტრიალებს, მაგრამ მას, ასე ვთქვათ, გადალახული აქვს 50 %-იანი ზღვარი უკეთესობისკენ. წლევანდელ ანგარიშში ქვეყანა კიდევ 5 ქულით დაწინაურდა და თუკი შარშანდელ ანგარიშში მას 52 მიაკუთვნეს, წლევანდელში — 57 ქულა დაიმსახურა. საქართველო ბევრად წინ არის, ვიდრე მეზობელი ქვეყნები: აზერბაიჯანი (30 ქულა), სომხეთი (33 ქულა), უკრაინა (29 ქულა), თურქეთი (41 ქულა) თუ რუსეთი (29 ქულა). ამასთან, საქართველო თავისი მაჩვენებლებით წინ უსწრებს ასევე ევროკავშირის საკმაოდ ბევრ ქვეყანას და, მათ შორის, იტალიას, ჩეხეთს, სლოვაკეთს, რუმინეთსა თუ საბერძნეთს.

ქვეყნის წინსვლას დადებითად აფასებს, მაგრამ, როგორც „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ წარმომადგენელი ერეკლე ურუშაძე ეუბნება რადიო „თავისუფლებას“, ეს მიღწევა გარღვევად ვერ ჩაითვლება და, შესაბამისად, საკმარისი არ არის. ამასთან, ერეკლე ურუშაძე თვლის, რომ ქვეყნის 5-ქულიანი რეიტინგული წინსვლა გამოიწვია არა პრაქტიკამ, არამედ საკანონმდებლო ბაზის გარკვეული სეგმენტების დახვეწამ, მათ შორის, ევროკავშირთან ასოცირების პროცესში აღებული ვალდებულებების ჭრილში. შეკითხვაზე, რა მდგომარეობაა ამჟამად კორუფციის თვალსაზრისით საქართველოში, ერეკლე ურუშაძე გვიპასუხებს:

**წვრილმანი კორუფციის შემთხვევაში, რაც გულისხმობს კორუფციას საჯარო სერვისების დონეზე, მეტ-ნაკლებად შენარჩუნებულია პროგრესი, ანუ სერიოზული მასშტაბი არა აქვს ამ სახის კორუფციას საქართველოში, ხოლო რაც შეეხება ე. წ. „ელიტურ კორუფციას“, რასაც ასევე შეგვიძლია მაღალი დონის კორუფცია ვუწოდოთ, აქ, ვფიქრობ, ძირითადი პრობლემა არის ის, რომ სახელმწიფო რეალურად არ არის მზად ასეთ შემთხვევებთან ეფექტური ბრძოლისთვის. ამის ძირითადი მიზეზი იგივეა, რაც იყო წინა ხელისუფლების დროს, ანუ ის, რომ ჩვენ არ გვყავს რეალურად პოლიტიკურად დამოუკიდებელი სამართალდამცავი უწყებები და სასამართლო ხელისუფლება. სასამართლო და, განსაკუთრებით, სამართალდამცავი უწყებები — შს სამინისტრო, პროკურატურა თუ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური“.**

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ ინფორმაციით, კორუფციის აღქმის ინდექსი სხვადასხვა ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის კვლევების საფუძველზე მზადდება და ეს კვლევები მოიცავს კონკრეტულ ქვეყანაში კორუფციის მხრივ არსებული მდგომარეობის შეფასებას. 2016 წლის ინდექსის მომზადებისას გამოყენებული იყო: ბერტელსმანის ფონდის ტრანსფორმაციის ინდექსი, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მენეჯერთა აზრის კვლევა, მსოფლიო სამართლის პროექტის კანონის უზენაესობის ინდექსი, „გლობალ ინსაითის“ ქვეყნების რისკის რეიტინგი, „ფრიდომ ჰაუსის“ ანგარიში და პროექტი „დემოკრატიის ვარიაციები“.

როგორც „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოში“ აცხადებენ, კორუფქციის აღქმის ინდექსი“ მეტად ავტორიტეტიანი გამოკვლევაა და მას ყურადღებით ეცნობიან, მაგალითად, ინვესტორები, ვიდრე ისინი ამა თუ იმ ქვეყანაში ფულის დაბანდებას გადაწყვეტდნენ.

„ცივილიზებული ბიზნესი“ ასეთ რეიტინგებს მართლაც რომ მიადევნებს თვალ-ყურს, ამაში ეჭვი არც ანალიტიკოს გია ხუხაშვილს ეპარება. თუმცა, მისი აზრით, ეს ფაქტორი გადამწყვეტ როლს არ თამაშობს და ფულის დაბანდება-არდაბანდების საკითხი კონკრეტულ ქვეყანაში საინვესტიციო გარემოს რეალურ მდგომარეობაზეა დამოკიდებული. ამასთან, არსებობენ ინვესტორები, რომლებსაც სულაც არ აფრთხობთ კორუფცია და უფრო პირიქით:

**ახალი ანგარიშიდან („კორუფციის აღქმის ინდექსი 2016“) გამომდინარე, „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ ხელისუფლებას კონკრეტული რეკომენდაციებით მიმართავს. მათ შორის არის, მაგალითად: სახელმწიფო ინსტიტუტებზე არაფორმალური გავლენის აღმოფხვრა, საჯარო და კერძო სექტორების ეფექტური გამიჯვნა, დამოუკიდებელი ანტიკორუფციული უწყების შექმნა, სასამართლო ხელისუფლებისა და სამართალდამცავი უწყებების დამოუკიდებლობისა და პოლიტიკური მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა თუ კორუფციის ფაქტების გამომვლენი ჟურნალისტების მხარდაჭერა და მათ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე სათანადოდ რეაგირება.**

**ლელა კუნჭულია**

## საკრებულოში „თბილისის განვითარების ფონდის“ გაუქმებას ითხოვენ

**თბილისის საკრებულის ფრაქცია „რესპუბლიკელების“ წევრი ხათუნა სამნიძე და დამოუკიდებელი დეპუტატი ალეკო ელისაშვილი „თბილისის განვითარების ფონდის“ გაუქმებას ითხოვენ.დეპუტატები აცხადებენ, რომ გაურკვეველია აღნიშნული ფონდის საქმიანობა და საკადრო პოლიტიკა.** დეპუტატების ინფორმაციით, ფონდში დასაქმებული 58 თანამშრომლიდან პროფესიით არქიტექტორი არის მხოლოდ ერთი, მაშინ, როდესაც ამ უწყების მთავარი ვალდებულება ისტორიულ-კულტურული ძეგლების რეაბილიტაცია უნდა იყოს. დეპუტატების განცხადებით, მსგავსი ფონდის გაურკვეველ საქმიანობაზე ბიუჯეტიდან ყოველწლიურად რამდენიმე მილიონი ლარის დახარჯვა გაუმართლებელია.



**„იკვეთება, რომ ფონდის მუშაობა არის სრულიად გაუმჭვირვალე. თბილისის ისტორიული უბნების გარდა ფონდი სხვა უბნების რეაბილიტაციას ახდენს. ფონდმა ვერ მოგვაწოდა ინფორმაცია როგორ მიიღება გადაწყვეტილებები, თბილისის რომელი ნაწილი გარემონტდეს. ამასთან, ფონდს სამი წლის მანძილზე დასახული აქვს 281 მილიონი ლარის სამუშაოების შესრულება და არ ჩანს თუ როგორ აპირებს ამ თანხების მოზიდვას. გაუგებარია ფონდის საკადრო პოლიტიკა. 58 საშტატო ერთეულში არ არიან კულტურათმცოდნეები, არქიტექტორები, რესტავრატორები. ფრაქცია „რესპუბლიკელები“ ალეკო ელისაშვილთან ერთად ვაცხადებთ, რომ ეს ფონდი ან უნდა გაუქმდეს და მისი უფლებამოსილებები კეთილმოწყობის სამსახურზე გადავიდეს ან ფონდმა უნდა გამართოს თავისი საკადრო პოლიტიკა და კონცენტრირდეს თბილისის ისტორიულ ნაწილზე“,** — განაცხადა ხათუნა სამნიძემ.

## „კაბელების საქმეზე“ — მსჯავრდებულები საპატიმროს 2 თვეში დატოვებენ

**ე.წ. კაბელების საქმეზე თავდაცვის სამინისტროს 5 ყოფილ მაღალჩინოსანს სააპელაციო სასამართლომ სასჯელის ვადა შეუმცირა. საპატიმროს ისინი 2 თვეში დატოვებენ.**

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით მუხლი, რომლითაც მსჯავრდებულები გასამართლდნენ, გადაკვალიფიცირდა სამსახურებრივი უფლე-



ბამოსილების ბოროტად გამოყენებაში, რის საფუძველზეც მსჯავრდებულებს სასჯელის ვადა შეუმცირდათ.

## გია ცერცვაძე პატიმრობაში რჩება



**გია ცერცვაძის სასამართლო პროცესი 3 თებერვლამდე გადაიდო. მიზეზად სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ პირველი ინსტაციიდან საქმის მასალების დაგვიანებით გადმოგზავნა დაასახელა.**

ამ გადაწყვეტილებას სასამართლო დარბაზში ხმაური და პროტესტი მოჰყვა.

# ორიოდ სიტყვა რუსლან რუსიას ხსოვნის გამო

**ამ ცოტა ხანში, მე უახლოესი, იმდენად ახლობელი მეგობრები დავკარგე, რომ ტკივილისაგან დარეტიანებული და გაოგნებული ვიყავი. კრიჭა შემეკრა: — ერთი სტრიქონიც ვერ დავწერე, რომ რაიმეთი მაინც გამომეხატა ჩემი განცდა, ან თუნდაც რაიმე სამძიმარი.**

ალბათ, ამიტომაც იყო, რომ მე ძალიან გვიან გავიგე ბატონი რუსლანის გარდაცვალების ამბავი.

დიდ პატივს ვცემდი, ჯერ კიდევ „კომუნისტის“ რედაქციაში მისი მოღვაწეობის პერიოდიდან. ყოველთვის თბილი, მეგობრული ურთიერთობა მქონდა და ძალიან ვაფასებდი მისი კაცური, პირდაპირ ვიტყვი, მისი ქართული სულისკვეთების გამო, რაც ყოველთვის, ყოველ დროში მკვეთრად ჩანდა მის ნაწერებში. ადამიანური, უბრალო ენით თუ ვიტყვი, მე ვგრძნობდი, როგორ მაფასებდა და პატივს მცემდა და ახლა, როცა იგი უკვე აღარ არის, მე მინდა, სახალხოდ გადავუხადო მადლობა ყველაფრისთვის და არა მარტო ოჯახს, არამედ ქვეყნის მთელ პატიოსან, ჟურნალისტურ კორპუსს (საუბედუროდ თითზე ჩამოსათვლელნიც ცოტა დარჩნენ) მივუსამძიმრო კაცის, ქართველის, პროფესიონალის, პატიოსანი მეგობრის დაკარგვა.

ნათელში ამყოფოს ღმერთმა ბატონი რუსლანის სული!

**რეზო ამაშუკელი**




# რჩეულთა შორის რჩეული

**რუსლან რუსია გახლდათ ჭეშმარიტი რაინდი და ჩვენს საძმოში აღიარებული პიროვნება... და არა მარტო ჩვენს საძმოში, არამედ, მთელ საქართველოში. მე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ დიდ პატივს ვცემ და ის, რომ სიკეთით სავსე გაზეთია, რუსლანის დიდი დამსახურებაა. შეიძლება, კაცი კეთილშობილი იყოს, მაგრამ მთელი ცხოვრება ცოდვილთა გზას ასცდე და იარო მართალთა გზით, იშვიათობაა!**

ღმერთისმიერი შემწეობით ემსახურებოდა მთელ საქართველოს, რუსლან რუსიას ეროვნული შუქი გზას უნათებდა მისივე წყალობით შემოსილ შთამომავლობას.

რა თქმა უნდა, ეროვნება განსჯის კაცის ერთგულებას და რუსლანი რომ ერთგულებით სავსე პიროვნება იყო, ესეც მთელმა საქართველომ იცოდა.

სიკვდილსაც თავისი კარიბჭე აქვს და დამიჯერეთ, რუსლანი იქიდან კვლავაც განაგებს ჩვენი ძმობის ტაძარს.

ახლა, ისიც ვთქვათ, რუსლანი არა მხოლოდ მის ბრწყინვალე ოჯახს, არა მხოლოდ ჩვენს საძმოს, არამედ დააკლდა მთელ საქართველოს!

მიხარია, რომ მაინც ჩემს გულშია.

ვაშა, უკვდავების გზას!

ძმაო, რუსლან, იქაც გველოდე, ისე, როგორც აქ გველოდებოდი რედაქციაში, პოეზიის საღამოებზე, ქართულ სუფრასთან, ჭირში და ლხინში!

მარად შენი

**ჯანსუღ ჩარკვიანი**

# რა სცოდნია დარდსა და ვარამს...

**... რაც არ უნდა დიდი რწმენა და იმედი ჩაგვინერგოს მართლმორწმუნე კაცობრიობის წიგნთა წიგნმა „ბიბლიამ“ და ჩვენმა დედაეკლესიამ, — სული უკვდავია, ადამიანი არასოდეს კვდება, მხოლოდ სხეული გარდაიცვლებაო, მე მაინც ვაჟა-ფშაველას გენიალური ამოძახილი მეძვირფასება: ღმერთმა გიშველოს სიკვდილო, სიცოცხლე ფასობს შენითა!**

სულის უკვდავებას ღირსეული კაცის ნაღვაწის, თავისი წილი წუთისოფლის მხოლოდ ხალხისთვის მოვარგების, მოძმეთათვის გაწეული დახმარების ნიჭი უდევს საფუძვლად.

რუსლან რუსია სხვათა გახარებისთვის, სხვათა ამაღლებისთვის, ზნეობრივად და სულიერად სხვათა გამდიდრებისთვის დაბადებული კაცი იყო.

როდესაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ქვეყნის დამანგრეველ მოძრაობად ვაქციეთ და ამ გასაცოდავებული ქვეყნის მთავარ გაზეთს „საქართველოს რესპუბლიკას“ ძალიან გაუჭირდა, რუსლან რუსიამ რკინის ქალამნები ჩაიცვა, ბანკიდან საკუთარი ავტორიტეტით ნასესხები სოლიდური თანხა მსუბუქი მანქანის საბარგულში „გადამალა“ და „მხედრიონის“ პარპაშის ეპოქაში ჩრდილოეთ კავკასიას მიაშურა გაზეთო ქაღალდისა და სხვა საბეჭდი მოწყობილობების შესაძენად.

გზაში რაც გადახდა, ცალკე კრიმინალური მოთხრობის თემაა... ამ უშიშარმა, ტკბილმოუბარმა, სულითა და ხორცით ძლიერმა ვაჟკაცმა მაშინ გაზეთი გადაარჩინა და მერე ამ გაზეთს წლების განმავლობაში ურედაქტორა, ღირსეულად უთავკაცა კიდეც.

... შემდეგ იყო ყოველდღიური გაზეთის გამოცემის გოლგოთა (დედამიწის ზურგზე არ არსებობს ყოველდღიური გაზეთის გამოცემაზე უფრო რთული, მძიმე, დაუფასებელი საქმე!) ტექნიკური მარაზმის ანუ კომპიუტერის, ელექტრონული მედიის მოძალების ხარჯზე, გაზეთების ტირაჟისა და მოთხოვნილების შემცირება, არსებობისთვის ბრძოლა, შემოსავლების კლება, ურთიერთგადაბრალება, ციხის შიგნიდან გატეხვა.

მერე იყო არამზადა ნაცების მიერ საკუთარი სახლიდან — „სამშობლოდან“ უკომპენსაციოდ(!!!) გამოყრა, მთავრობისა და პრეზიდენტის იდიოტური პოზიცია — მასმედია თავისუფალია, ისიც ბიზნესმა და საბაზრო ეკონომიკამ უნდა მართოს (ისემც ცხვირი დაგიმშვენდეთ, ბიზნესის და ბაზრის, ყალბზე ყალბი რეკლამების მიერ მართული პრესა ოდესმე თავისუფალი და მართალი იყოს!).

მერე, რუსლანს იმათ დაუპირეს „გახდა“, ვისაც ჩააცვა, დაახურა, ასვა და აჭამა...

ყველაფერ ამაზე ფიქრმა და დარდმა ნელ-ნელა გამოხრა პროფესიონალი მეგაზეთე-ჟურნალისტის, შესანიშნავი კალმოსნისა და პოლიგრაფისტის სული და სხეული. საქმე იქამდე მივიდა, რომ ამ ყველაფერში ზომიერ, თავაზიან, გარეგნულად მართლაც ლომივით კაცს სხეულში აგრესიული ფორმის სიმსივნე „ჩაუსახლდა“ და 65 წლის ასაკში სიცოცხლეს გამოასალმა.

... რუსლანს გამორჩეულად უყვარდა ზაურ ბოლქვაძის ცნობილი სტროფი: **„გადაუარა ბალახმა საფლავს, სიცოცხლის წერტილს, შენ ჩვენთვის როგორ არა ხარ, ჩვენ აღარა ვართ შენთვის“**.

ღმერთი ყოვლის შემძლეა, რუსლან! შენ მუდამ იქნები ჩვენს გვერდით, რადგანაც შენი სული, კაცური ნაღვაწი, დედის მუცლიდან გამოყოლილი ღვთისნიერი სიწმინდე და უბრალოება გვაძლიერებს და სწორედაც რომ შენი სულის უკვდავებაში გვარწმუნებს.

**სპარტაკ ქობულია**

# ... როგორ ცოტაა ადამიანი!

**ბატონ რუსლან რუსიას, ამ ღვთისნიერი კაცის նაადრევი გარდაცვალებით გამოწვეული მწუხარება, მართლაც დიდი და განუზომელია. ორმოცი დღე გვაშორებს მისი ფიზიკურად ჩვენგან წასვლისგან. სულიერად კი, იგი ყოველთვის ჩვენთან იქნება. ბატონი რუსლან რუსია დიდი და სახელოვანი პიროვნება იყო, სავსე ქართული პატიოსნებით, გალაკტიონი ბრძანებდა: როგორ ბევრია შვილი ადამის, როგორ ცოტაა ადამიანი! დიახ, იგი ამ ცოტა და მცირერიცხოვან ადამიანთა კოჰორტას, რჩეულთა შორის რჩეულ პიროვნებათა ჯგუფს ეკუთვნოდა. და რა სამწუხაროა, რომ ასეთ ადამიანთა რაოდენობა, ამ ბოლო დროს სულ უფრო მცირდება. ბატონი რუსლანი არა მარტო ბრწყინვალე ჟურნალისტი და ინტელიგენტი, არამედ ერის მოჭირნახულე, სპეტაკი პატრიოტი და კარგი ქართველი იყო, სამშობლოს მგზნებარე და ერთგული ჯარისკაცი, რომელსაც დიდი ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, ყოველთვის ერის წყლული აჩნდა წყლულად, ეწოდა მის ტანჯვით სული...**

მადლობის ღირსია სამაგალითო მისი დიდი ოჯახი, მშობლიური ოდაბადე, სკოლა, სიბრძნის მაწოვებელი დედაუნივერსიტეტი, ეროვნული გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკის“ კოლექტივი, ყველა ვისაც ბატონი რუსლან რუსიას ჭეშმარიტ მოქალაქედ და მამულიშვილად ჩამოყალიბებაში თავისი წილი მიუძღვის. მჯერა, რომ ასეთი რაინდული სულის ადამიანები არასოდეს არ კვდებიან, ისინი მარადიულ სასუფეველში იმკვიდრებენ ღირსეულ ადგილს. ბედნიერია საქართველო, რომ მას ასეთი სასახელო და ღირსეული შვილები ჰყავდა... ვისაც საკუთარ თავზე მეტად უყვარდა მშობელი ხალხი და სამშობლო...

სამარადისო ხსოვნა მის ნათელ სახელსა და სულს, ამინ!

**გულთაზ ლაზარტყავა,**

**საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი, საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი.**



ღირსების ორდენი პრეზიდენტისგან...

# „სიკვდილის გზა არრა არის ვარდისფერ გზის გარდა!“



## — ცად ამაღლდა! —

**ყველამ ვიცოდით, უკურნებელი სენით რომ იყო დაავადებული და არ ვიმჩნევდით.**

**იცოდა თვითონაც და ისე ეჭირა თავი, ვითომც არაფერი:**

**— კიბოა თუ კიბორჩხალა, კისერს მოვუგრეხო, — მითხრა ერთხელ.**

იცოდა და ებრძოდა. საოცარი იყო მისი შინაგანი ძალა, სულის სიმტკიცე და ვაჟკაცობა. არ შეუცვლია ცხოვრების წესი და ნირი, მუშაობდა როგორც ყოველთვის: აგროვებდა საგაზეთო თემებსა და მასალებს, აანალიზებდა, წერდა და აქვეყნებდა. თუ რომელიმე ჟურნალისტზე შეიძლება ითქვას, რომ მისი პუბლიკაციები სანიმუშო და მისაბაძია, უპირველეს ყოვლისა, მასზე ითქმის — რუსლან რუსიაზე. მისი ანალიტიკური სტატიები, პრობლემური წერილები, ნარკვევები, რეპლიკები, ესეები, რეპორტაჟები, ერთად აღებული საქართველოს უახლესი ისტორიის პირუთვნელი მატიანეა, სანიმუშო ქართულით დაწერილი და საქართველოსთვის.

ანალიტიკური ნიჭით იყო დაჯილდოებული. ზუსტად ახერხებდა ქვეყნის პოლიტიკური, საზოგადოებრივი ცხოვრების, ეკონომიკისა და სოციალური დარგების კონგლომერატში გამოერჩია და გაზეთის ფურცლებზე გამოეტანა მთავარი საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც საქართველოს გაძლიერება-გაბრწყინებას შეუწყობდა ხელს. წერდა ამ პრობლემებზე, საინტერესოდ, ზუსტი აქცენტებით და უმაღლესი პროფესიონალიზმით.

სიტყვასთან მუშაობის ტალანტი ჰქონდა ღმერთისგან ნაბოძები.

ქედმოუხრელი პიროვნება იყო, ძლიერი, გაჭირვებასთან მებრძოლი და უშიშარი. ეს აშკარად იგრძნობოდა არა მხოლოდ მის ნაწერებში, არამედ რუტინულ სარედაქციო საქმიანობაშიც კი, რომელიც 90-იანი ველური წლებიდან მოყოლებული ომის დროს ცეცხლის ხაზზე ბრძოლას უფრო ჰგავდა, ვიდრე შემოქმედებითი დაწესებულების მუშაობას. ის, რაც მან, იმ დროს „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარი რედაქტორის მოადგილემ და შპს „პრესის“ დირექტორმა, გაზეთის გადასარჩენად გააკეთა, უნიკალურ ფაქტად დარჩება ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში. მაშინ ჩვენი გაზეთი იბეჭდებოდა ე.წ. გასახვევ ქაღალდზე, რომელიც რაღაც საშუალო წარმონაქმნი იყო უხარისხო მუყაოსა და ტოპოგრაფიულ მაკულატურას შორის, აი, მაშინ მან, რუსლან რუსიამ სასწორზე დადო თავისი სიცოცხლე და ჯოჯოხეთურ ქაოსში მოქცეული ჩეჩნეთიდან ჩამოიტანა ხარისხიანი ქაღალდის რულონები — პური გაზეთის არსებობისა. იმ დროს მანქანებს კი არა, რკინიგზის სატვირთო შემადგენლობებს აჩერებდნენ და ძარცვავდნენ შარაგზის ყაჩაღები კავკასიონის ქედს იქით და აქეთ.

გადაარჩინა გაზეთი.

და თავისუფალი სიტყვა.

ჩვენ ვერ დავეხმარეთ ოღონდ — მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი, რაც კი თანამედროვე მედიცინისთვის ხელმისაწვდომი იყო, მისთვის არ დაუკლია სახელგანთქმულ აკადემიკოს ფრიდონ თოდუას.

უკურნებელი სენით იყო დაავადებული, აკი ვთქვით.

დავეხმარეთ კი არა, სააკაშვილის მიერ დაქირავებულმა რედაქციის ზოგიერთმა თანამშრომელმა პროვოკაცია მოუწყო მთელ კოლექტივს და შეეცადა სახელი გაეტეხა რედაქტორისთვის, დაებრალებინა ისეთი სიბინძურე, რომელიც თვით იმ, ყოფილი ხელისუფლებისთვის იყო დამახასიათებელი და მოქმედების უპირველეს პრინციპად აღიარებული. მიზანი — „საქართველოს რესპუბლიკის“ არსებობისთვის წერტილის დასმა იყო.

ვერ შეძლეს.

მაგრამ სტრესულმა სიტუაციამ ყველა პატიოსან ჟურნალისტზე იმოქმედა, ყველაზე მეტად მაინც რუსლანზე, ამ კრისტალურად პატიოსან ადამიანზე.



„ოქროს ფრთის“ გადაცემის დროს

ისე ახლოს მიიტანა გულთან, რომ მის ჯანმრთელობას მაშინვე დაეტყო. როგორც ჩანს, იმ სტრესმა დაუტოვა რაღაც ხინჯი, თორემ ავადმყოფობისა არაფერი ეტყობოდა ამ მთასავით მაღალ და კლდესავით ჯანმაგარ ახალგაზრდა კაცს.

უაღრესად მგრძნობიარე ბუნებისა იყო, წარმოუდგენლად თავმდაბალი, არაფრით, აბსოლუტურად არაფრით ჰგავდა იმ თავდაჯერებულ „კოლეგებს“, ყოველდღიურად რომ აბედნიერებენ ჩვენ საზოგადოებას მასმედიის კაბადონზე თავიანთი გამოჩენით. გოგოლის „შეშლილის ჩანაწერების“ გმირისა არ იყოს, მოწყალებას გაიღებენ მთელი ქვეყნისთვის: „დღევანდელი დღე უდიდესი ზეიმის დღეა! ესპანეთს ჰყავს მეფე. იპოვეს იგი. ეს მეფე მე ვარ...“

მისი ნიჭიერება განსაკუთრებით გამობრწყინდა „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარ რედაქტორად მუშაობის წლებში, ჟურნალისტური კოლექტივის გაძღოლის, გაზეთის ტრადიციული კურსის შენარჩუნების თვალსაზრისით ჩვენი ქვეყნის ურთულეს გარდამავალ პერიოდში.

დაუფასდა.

ამის დასტურია ჟურნალისტური პრემიების ლაურეატობა და სახელმწიფო ჯილდოები.

**ხვალ 40 დღე შესრულდება რუსლან რუსიას გარდაცვალებიდან, ცად ამაღლდება მისი სული. ღმერთმა აცხონოს და გაანათლოს.**

**არმაზ სანებლიძე**



ილო და რუსუდან რუსიები

# — ვალმოხდილი —

**როგორ უმოწყალოდ მიგვაქანებს ქვეყნიერების აღსასრულისკენ დრო მუხანათურად გამმეტებელი და ფიქრი მძიმე... ამასთან, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ეპოქაში, სამწუხაროდ, რეგრესირდება ზნეობა და სულიერება.**

ჩემი მოუშუშებელი სულის ტკივილი, ხსოვნა გულისა, სულმნათი, შეუცვლელი მეგობრის, ძმადნაფიცის, გულმხურვალე ცოტნეიდელის **რუსლან რუსიას** უკვდავი ხსოვნისადმი ამ შესვალით იმიტომ დავიწყე, რომ ერსაც, ქვეყანასაც, მართლმადიდებლურ მრწამსსაც და თვით საზოგადოებასაც სულიერი დაცემის ჟამს მხსნელად და მაგალითის მიმცემად მოევლინებიან ხოლმე სწორედ დამოუკიდებელი, პრინციპული, ინტელექტით დამშვენებული პიროვნებები, ჭეშმარიტი მამულიშვილები, **„აღმსარებლები მცნებათა უფლისა და დამდებელნი სულისა თავისისა, საქართველოსა და მოყვასთათვის“,** სრულიად საქართველოს ზნეობრივ-ეროვნული გმირის, ერისთავთ-ერისთავის, წმინდა ცოტნე დადიანის მიმდევრების სახით.

ასეთ ლიდერთა რიცხვს დამსახურებულად მიეკუთვნებოდა სულმნათ რუსლან რუსიას მთელი ცხოვრება და შემოქმედება, მისი დამრაზმველი პიროვნული ფენომენი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი წლების განმავლობაში გახლდათ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქტორის პირველი მოადგილე, რედაქტორი, ჟურნალისტიკის დარგში შეტანილი პირადი განსაკუთრებული წვლილისთვის დაჯილდოებული იყო საერთაშორისო პრემია **„ოქროს ფრთით“, ნიკო ნიკოლაძის** და **სერგეი მესხის** პრემიებით. 1996 წლის ივნისიდან დღემდე ერთხმად იყო არჩეული ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ვიცე პრეზიდენტად, პრეზიდიუმის წევრად, აკადემიკოსად. წარმატებითა და მისთვის ჩვეული თავდადებით ხელმძღვანელობდა ფაზისის აკადემიის თბილისის სათავო ორგანიზაციას.

ჩვენი პირველი შეხვედრა ქ. ხობში 1978 წლის ზაფხულში შედგა, სადაც სრულიად ახალგაზრდა ვთავკაცობდი რაიონს. რედაქტორის დავალებით საგაზეთო პუბლიკაციის თემა გამაცნო: „ორი რაიონი ერთი ცის ქვეშ და მიღწეული შედეგები აბაშის რაიონსა და მეზობლად მდებარე ხობში“. მოგეხსენებათ,



პატრიარქის დიდი სიყვარულით...

სოფლის მეურნეობაში მატერიალური სტიმულირების საკავშირო ექსპერიმენტის წარმატებით განმხორციელებელ აბაშის მეზობლობა საინტერესოც იყო და საპასუხისმგებლოც, რადგან ყველა საგეგმო პარამეტრებით შედარებები კეთდებოდა აბაშასთან მოთხოვნით — თუ იქ შეძლეს, თქვენ რატომ ვერ იმეორებთ მეზობლის მიღწეულ შედეგებსო. ეს რიტორიკული კითხვა დამოკლეს მახვილივით კოლხეთის დაბლობზე მდებარე რაიონებს მუდმივად დიდ საფიქრალ-საზრუნავში გვამყოფებდა... მახსოვს საოცრად გონიერი ახალგაზრდა კაცის რუსლან რუსიას სიხარულით, მზრუნველობით, სიკეთით აღსავსე გაბრწყინებული თვალები, სიამაყით რამდენჯერმე რომ გამიმეორა შეკითხვა: მართალია, რომ ხობელებმაც გადაწყვიტეთ ე.წ. ხუთწლიანი სახელმწიფო გეგმა ყველა პარამეტრით ოთხ წელიწადში შეასრულოთ და მეხუთე წელი ზეგეგმური ვალდებულებების შესრულებას მოახმაროთ (მაშინ ეს ჩვენი ცხოვრების წესი იყო!), როდესაც ჩემგან ასევე რამდენჯერმე მიიღო დადებითი პასუხი: გადამეხვია და მითხრა — თქვენ სიტყვა არ გატეხოთ და მიღწევებზე საგნობრივი პროპაგანდა ჩემზე იყოსო. ორთავემ მიცემული სიტყვა პირნათლად შევასრულეთ... ნათელში ამყოფოს ღმერთმა აწ განსვენებულის უკვდავი სული, ზეციურ სასუფეველში, სადაც მართალნი განისვენებენ...

მიუხედავად ჩვენი დიდი უანგარო მეგობრობისა, სადაც მიმუშავია, არ მახსოვს ხობზე, ფოთზე, აჭარაზე მიძღვნილ პუბლიკაციებში გულშემატკივრული, ტაქტით არ ჩაერთო უმწვავესი კრიტიკული შენიშვნები ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემებზე. არადა, ეს ყველაფერი მთავარი რესპუბლიკური გაზეთის სპეციალური კორესპონდენტის შენიშვნები გახლდათ. ბიჭი იყავი და ყური არ მიგეგდო მათთვის, რადგან, შეუსრულებლობის შემთხვევაში, ერთი ნაბიჯიღა გაშორებდა სამსახურის დაკარგვასთან.

ვაჰ, დრონი, დრონი.

მძიმე ავადმყოფობის ჟამს ბატონი რუსლან რუსია, წმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში მეუფე დანიელის რეკომენდაციითა და ფაზისის აკადემიის თხოვნით, მიიღო და გულითადად დალოცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ, რომელმაც როგორც შვილობილს აღუთქვა, რომ დღენიადაგ ილოცებდა მისთვის და მისი საფიცარი ოჯახის მომავალ ბედნიერებაზე, შვილების დაოჯახებაზე, შვილიშვილების შეძენაზე, მათი ერის შვილებად აღზრდა-ჩამოყალიბებაზე...

მე დარწმუნებული ვარ, რომ ჭეშმარიტად ქართული ტრადიციების მატარებელი ოჯახი — მეუღლე და შვილები, ღვთის წყალობით, მალე აუსრულებენ საფიცარ და უსაყვარლეს მამას უკანასკნელ თხოვნას, დაოჯახების, შვილიშვილებით გვარის გამრავლების თაობაზე...

მშვიდობით, დაუვიწყარო ძმაო და თანამოაზრევ!

**ნუგზარ ნადარაია,**

**ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი.**

# ენგურზე სულ უფრო ნაკლები გადასასვლელი რჩება




**გალის რაიონის 200-მდე მცხოვრებმა დე ფაქტო საზღვარზე არსებული საკონტროლო-გამშვები პუნქტების მოსალოდნელი დახურვა გააპროტესტა. ნაბაკევისა და მეზობელი სოფლების მოსახლეობამ მდინარე ენგურზე არსებული ცენტრალური გადასასვლელისკენ გზა გადაკეტა.**

ენგურის ცენტრალური გადასასვლელი, რომელიც რუსული სასაზღვრო საგუშაგოს უშუალო სიახლოვეს მდებარეობს, მთავარია იმ 6 პუნქტს შორის, რომლითაც ადამიანები წლების განმავლობაში კვეთდნენ დანარჩენ საქართველოსა და ოკუპირებულ აფხაზეთს შორის დე ფაქტო საზღვარს, მალე კი იგი ერთადერთი გახდება. არადა, ბევრ ადგილობრივს ენგურის გადასასვლელამდე მისაღწევად ავტობუსით 15-30 კმ-ის გავლა უწევს (და მერე კიდევ 800 მეტრის – ფეხით ენგურის ხიდზე ქართულ მხარესთან მოსახვედრად).

საკმარისია, ნაბაკევის გამშვები პუნქტიდან 70 მეტრი გაიარო და საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე აღმოჩნდები. ამ პუნქტის არსებობის მრავალი წლის განმავლობაში მის სიახლოვეს უამრავი მაღაზია გაჩნდა, მუშაობს ბანკომატები, კარგად არის ორგანიზებული სატრანსპორტო კავშირი. საზღვრის გადალახვა მარტივი და კომფორტულია. ახლომდებარე სოფლების მოსახლეობა აქ მუშაობს, მათი ცხოვრება მჭიდროდაა დაკავშირებული ამ პუნქტის მოქმედებასთან, ამდენად მისი დახურვა მათ არა მარტო მთელ რიგ სხვა პრობლემებს შეუქმნის, არამედ საზრდოსაც წაართმევს.

**„აფხაზეთ-საქართველოს საზღვარი სახელმწიფოა და აფხაზური საზოგადოებრიობა დიდი ხანია, ითხოვს მის რეალურ კონტროლზე აყვანას. წინასაარჩევნო კამპანიის დროს რაულ ხაჯიმბამ ამ სფეროში წესრიგის დამყარების პირობა დადო. მის აღსასრულებლად აფხაზეთის მთავრობამ კანონმდებლობაში ცვლილებები შეიტანა, რომელიც ენგურის ხიდის გარდა, თანდათანობით ყველა სხვა გადასასვლელის დახურვას ითვალისწინებს“** – აცხადებენ საპასუხოდ აფხაზეთში.

როგორც სოხუმში განმარტავენ, 6-ვე გადასასვლელის ერთდროულად დახურვა შეუძლებელი იყო, ვინაიდან გზა, რომლითაც ხუთი სოფლის მაცხოვრებლებს ენგურის გადასასვლელამდე უნდა ემგზავრათ, სრულიად დანგრეული იყო და ტრანსპორტი მასზე ძნელად თუ გადაადგილდებოდა. არადა, სოფლებზე თაგილონზე, ნაბაკევზე,პირველ ოტობაიაზე, მეორე ოტობაიაზე და ფიჩორზე გამავალი გზის გასწვრივ დაახლოებით 7,5 ათასი ადამიანი ცხოვრობს.

**„აფხაზურმა მთავრობამ ეს პრობლემა გადაჭრა, გამოყო რა რუსული დაფინანსებიდან 150 მლნ ლარი გზის საფარის აღსადგენად. გალის რაიონის ქვედა ზონისკენ ახალი ასფალტირებული გზა დაიგო, რომლის სიგრძე 32 კმ-ს შეადგენს, სიგანე – 6 მეტრს. გალის რაიონის ადმინისტრაციამ „მერსედესის“ მარკის ავტობუსიც შეიძინა, რომელიც დღეში 2 რეისს ასრულებს და ენგურის ცენტრალურ გადასასვლელამდე ყველა მსურველი გადაჰყავს. გარდა ამისა, ხუთი სოფლიდან თითოეულს საკუთარი სამგზავრო ავტობუსი გააჩნია“** – აცხადებს აფხაზური ხელისუფლება.

გზის სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ, 2016 წლის აგვისტოში ორი გამშვები პუნქტი - „თაგილონი“ და „ლეკუხონა“ დაიხურა. ხვალისათვის კიდევ ორის – „ნაბაკევისა“ და „მეორე ოტობაიას“ დახურვა იგეგმება. ამის შემდეგ დარჩება მხოლოდ ორი – ენგურის ცენტრალური ხიდი და „დიხაზურგა“.

**„ამ უკანასკნელის დახურვა ჯერჯერობით შეუძლებელია, ვინაიდან მოსახლეობას ცენტრალურ გადასასვლელამდე მიღწევა გზის ცუდი მდგომარეობის გამო გაუჭირდება“,** – განმარტავენ სოხუმის ხელისუფლებაში.

გალის რაიონის დე ფაქტო ადმინისტრაციის ხელმძღვანელ თემურ ნადარაიას განცხადებით, „სადღეისოდ ყველა პირობაა შექმნილი საიმისოდ, რომ დაბალი ზონის სოფლების მაცხოვრებლები დაუბრკოლებლად გადაადგილდნენ ენგურის ცენტრალურ გადასასვლელამდე.

**„გადასასვლელები მთავრობის გადაწყვეტილებით იკეტება და არა ჩემი პირადი სურვილით. არსებობენ გარკვეული ძალები, რომლებიც კავშირში არიან უკანონო საზღვრისპირა ბიზნესთან და ახლა საპროტესტო აქციების პროვოცირებას ახდენენ“,** – განაცხადა ნადარაიამ საპროტესტო აქციის კომენტირებისას.

აქციის ადგილზე გალის რაიონის აფხაზური უშიშროების სამსახურის უფროსი თემურ შერგელია და დე ფაქტო შსს-ს ადგილობრივი განყოფილების თანამშრომლები იყვნენ გასულები. მათთან საუბრის შემდეგ გზა გაიხსნა და აქციის მონაწილეები სახლებში დაბრუნდნენ.

# რეკორდები „ქართული ტურიზმის“ ისტორიაში

**ცოტა ხნის წინათ ცნობილი გახდა საქართველოს ტურისტული სფეროს გასული წლის საბოლოო შედეგები. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, 2016 წელს საქართველოში საერთაშორისო მოგზაურთა, ვიზიტორთა რიცხვმა 6 მილიონს გადააჭარბა. თითქმის ნახევარი მილიონით გაიზარდა უშუალოდ იმ ტურისტების რიცხვი, რომლებმაც საქართველოში 24 საათი და მეტი დაყვეს. გაზრდილია 2016 წელს ტურიზმიდან მიღებული შემოსავლებიც.**

2016 წელს საქართველოს 6 მილიონ 350 ათას 825 საერთაშორისო მოგზაური (ვიზიტორი) ეწვია, რაც თითქმის ნახევარი მილიონით (449 731) მეტია შარშანდელ მაჩვენებელზე. 2016 წელს ასევე თითქმის ნახევარი მილიონით (432 802) გაიზარდა იმ სტუმართა რაოდენობა, რომლებიც საქართველოს ერთი დღე-ღამით ან მეტი დროით სტუმრობდნენ. ასეთ ვიზიტორებს ტურისტებს უწოდებენ და მათი რიცხვი შარშან 2 მილიონ 714 ათას 773-ს შეადგენდა. 4 იანვარს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა **გიორგი ჩოგოვაძემ** გასული წლის შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე ტურიზმის სფეროს ახალ რეკორდზე ილაპარაკა:

**„რეკორდი მოიხსნა როგორც ტურისტების რაოდენობის მხრივ, ასევე იმ შემოსავლების მხრივ, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში შემოვიდა და ამ შემოსავალმა 2 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა... შემომსვლელთა ნაკადი მატულობს როგორც ტრადიციული ბაზრებიდან, სადაც ჩვენ აქტიურ მარკეტინგულ და საინფორმაციო კამპანიებს ვაწარმოებთ, ასევე იმ ახალი ბაზრებიდან, რომლებიც ჩვენ სულ ცოტა ხნის წინათ აღმოვაჩინეთ. მათ შორის არის სპარსეთის ყურის ქვეყნები, ინდოეთი და ირანი, რომელიც ხელახლა შემოუერთდა ჩვენს ქვეყანას, ტურისტული ნაკადების თვალსაზრისით“.**

გიორგი ჩოგოვაძის განცხადებით, გასული წლის მანძილზე საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა 7.6 პროცენტით გაიზარდა. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, 2016 წელს, საქართველოში ჩამოსული სტუმრების რაოდენობის მიხედვით, ლიდერობდა 5 ქვეყანა: პირველი ადგილზეა აზერბაიჯანი, საიდანაც ვიზიტორების ზრდამ 9 %-ზე ოდნავ მეტი შეადგინა; მეორე ადგილზეა სომხეთი, თითქმის 2-პროცენტიანი ზრდით; მესამეა თურქეთი, საიდანაც, წინა წელთან შედარებით, ვიზიტორების ნაკადმა თითქმის 10 პროცენტით იკლო; მეოთხე პოზიციაზეა რუსეთი – ამ ქვეყნიდან ტურისტების ნაკადმა 1 წლის მანძილზე 12 პროცენტით მოიმატა – და მეხუთეა უკრაინა, საიდანაც საქართველოს სტუმრების რიცხვი თითქმის 22 პროცენტით გაიზარდა. სტატისტიკური ინფორმაციის მიხედვით, რუსეთიდან საერთაშორისო მოგზაურთა რაოდენობამ პირველად გადააჭარბა ერთ მილიონს. პოზიტიური ტენდენციით გამოირჩევა ევროკავშირის მიმართულებაც. საქართველოში ვიზიტების რაოდენობის ზრდის კუთხით, 2016 წლის მანძილზე ლიდერობდნენ ლატვია +24 %, ლიტვა +16 %, ჩეხეთი 15%, ბულგარეთი +12 % და გერმანია +11 %.

ამგვარ მზარდ სტატისტიკას, რომელსაც შემოსავლების მატებასთან ერთად ეკონომიკის ზრდაც მოჰყვება, მიესალმება ტურიზმის ბევრი სპეციალისტი, მაგრამ ზოგიერთი მათგანი არსებულ ტემპს არასაკმარისად მიიჩნევს. ტურისტული კომპანია „გუდაური ჰელისკინგის“ დამფუძნებლისა და ტურიზმის სფეროს ექსპერტის ვატო ასათაშვილის, აზრით, ტურიზმის სფეროში საჭიროა სწრაფი ზრდის უზრუნველყოფა:

**„ვინაიდან განვითარებადი ქვეყანა ვართ, მინიმუმ გვჭირდება ორნიშნულიანი მაჩვენებელი, რათა, დაახლოებით, 10 წლის განმავლობაში მაინც მივაღწიოთ აღმოსავლეთ ევროპის ტურიზმის განვითარების დონეს, ანუ ერთნიშნულიანი მაჩვენებლებით ჩვენ კონკურენტუნარიანი ქვეყანა რეგიონშიც კი ვერ გავხდებით, არათუ აღმოსავლეთ ევროპაში ანდა, მთლიანად, ევროპის დონეზე“.**

ვატო ასათაშვილის მიერ ნახსენები ზრდის ტემპი საქართველოში 2009 წლიდან 2013 წლის ჩათვლით აღინიშნა, მაგრამ 2013 წლის შემდეგ პერიოდში ტურიზმის მიმართ არსებულმა დამოკიდებულებამ ზრდის ტემპი მკვეთრად შეამცირა. მოგვიანებით მთავრობის დამოკიდებულება შეიცვალა, მაგრამ ზრდამ ჯერჯერობით მაინც ვერ გადააბიჯა ერთნიშნა მაჩვენებელს. ტურიზმის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიორგი ჩოგოვაძე მიიჩნევს, რომ ორნიშნა ზრდის ტემპი არსებული ავიარეისების პირობებში შეუძლებელი იქნება. მისი განცხადებით, ტურიზმის განვითარების სტრატეგიის მიხედვით, 2025 წლამდე განსაზღვრულია ყოველწლიური 7-პროცენტიანი ზრდა.

გიორგი ჩოგოვაძის განცხადებაში აღნიშნულ ტურიზმის ეკონომიკურ სარგებელს ეკონომიკის ექსპერტებიც მიესალმებიან, მაგრამ ბევრი მათგანი აღნიშნავს როგორც ტურისტული ინფრასტრუქტურის დაბალ ხარისხს, ასევე ტურიზმთან დაკავშირებული დარგების ნაკლებ მზაობას, მაქსიმალური მოგება მიიღონ ტურიზმის განვითარებით.



**„RFE//RL“ (აშშ)**

## ვაშინგტონი ვიზებს აჩერებს

**თეთრი სახლის ახალი ადმინისტრაცია ვიზების გაცემას შეაჩერებს იმ შვიდი ქვეყნის მოქალაქეებისთვის, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა მუსლიმანია. ამის შესახებ სააგენტო როიტერი იტყობინება. ამავე ინფორმაციით, შეზღუდვის ვადად ამ ეტაპზე ერთი თვე განისაზღვრა. უკვე მომზადებულია ტრამპის განკარგულების პროექტიც, რომლის მიხედვითაც ვიზების გაცემა სირიის, ერაყის, ირანის, ლიბიის, სომალის, სუდანისა და იემენის მოქალაქეებზე აიკრძალება.**



## ტრამპს თეთრი სახლის საძინებელი და ტელეფონები მოეწონა

**ამერიკის 45-ე პრეზიდენტს თეთრ სახლში ყველაზე მეტად საძინებელი და ტელეფონები მოეწონა. ამის შესახებ მან ნიუ იორკ ტაიმსისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.**

**„აქ არის ყველაზე ლამაზი ტელეფონები, რაც კი ოდესმე მინახავს. ასევე კარგ შთაბეჭდილებას ახდენს ოვალური კაბინეტი, საწერი მაგიდა, რომელთანაც ჯონ კენედი, რონალდ რეიგანი, ბილ კლინტონი, ჯორჯ ბუში და ბარაკ ობამა მუშაობდნენ. ძალიან მომეწონა საძინებელიც,“ – აღნიშნა ტრამპმა.**

## ტრამპი წამების მეთოდებს დასაშვებად მიიჩნევს

**ტერორიზმში ეჭვმიტანილების დაკითხვისას წამების მეთოდების გამოყენებას დონალდ ტრამპი დასაშვებად მიიჩნევს. ამის შესახებ მან ტელეკომპანია ეი-ბი-სი-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა. ამერიკის პრეზიდენტის თქმით, ამ თემაზე მან კონსულტაციები დაზვერვის სამსახურის მაღალჩინოსნებთან გაიარა, რომლებმაც დაარწმუნეს, რომ წამების მეთოდები ეფექტურად მუშაობს. „როდესაც ტერორისტები ადამიანებს თავებს აჭრიან და შუა საუკუნეების მეთოდებს იყენებენ, ვერ გამიგია, რატომ არ უნდა გამოიყენებოდეს მათ წინააღმდეგ თუნდაც წყლით წამების მეთოდი,“ – აღნიშნა ტრამპმა.**

◎ კანონი კანონია!

# სკანდალი ერთი თვის შემდეგ...

**თბილისის საქალაქო სასამართლო ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარის არჩევის საქმესთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია ირაკლი მეძმარიაშვილის სარჩელი მოპასუხე საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მიმართ. მხარეთა შორის დავის საგანს ა(ა)იპ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის 2016 წლის 23 დეკემბრის საანგარიშო-საარჩევნო სესიის ოქმის და მისგან გამომდინარე შედეგების ბათილად ცნობა წარმოადგენს. ამავე სარჩელით, მოსარჩელემ დააყენა შუამდგომლობა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ.

2017 წლის 24 იანვარს სასამართლომ დააკმაყოფილა წარმოდგენილი შუამდგომლობა და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის 2016 წლის 23 დეკემბერს გამართული საანგარიშო-საარჩევნო სესიის მიერ არჩეულ პირებს აეკრძალათ ამავე სესიის ოქმით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელება და მოქმედებების შესრულება. ასევე, შეჩერდა ა(ა)იპ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის 23.12.2016 წ. საანგარიშო-საარჩევნო სესიის ოქმით განსაზღვრულ წესდებაში (სარეგისტრაციო მონაცემებში) რაიმე სახის ცვლილებების შეტანა და ამავე ოქმის მოქმედება სადავო საკითხზე სასამართლო გადაწყვეტილების მიღებამდე და მის კანონიერ ძალაში შესვლამდე.

ზოგიერთი მედიასაშუალებით გავრცელდა არასწორი ინფორმაცია, რომ საქმეზე მიღებულია საბოლოო გადაწყვეტილება. სასამართლო განმარტავს, რომ მიღებულია შუალედური გადაწყვეტილება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების დაკმაყოფილების შესახებ. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, მოსარჩელეს შეუძლია მოითხოვოს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს დროებით ღონისძიებას და მისი გამოყენება/არგამოყენება გავლენას არ ახდენს დავის საბოლოო შედეგზე.

განჩინება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას. განჩინებაზე შეიძლება საჩივრის შეტანა მოპასუხეებისათვის მისი გადაცემის მომენტიდან 5 დღის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში.

**კობა კობახიძე**

◎ ევრო-2018

# თბილისში კედლებიც გვეხმარება

**საქართველოს ფუტსალის ნაკრებმა ევროპის 2018 წლის ჩემპიონატის პირველი საკვალიფიკაციო ტურნირის მეორე ტურში შოტლანდია 11:0 გაანადგურა. შეგახსენებთ, რომ ავთანდილ ასათიანის გაწვრთნილმა გუნდმა ერთი დღით ადრე ისრაელს 3:0 სძლია.**



ქართველმა ფეხბურთელებმა პირველი ტაიმი 6:0 მოიგეს, საწყისი ოთხი გოლი კი არჩილ სებისკვერაძემ გაიტანა. შესვენებამდე მას კიდევ ერთი ბურთის შეგდება შეეძლო, თუმცა, 10-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა ვერ გამოიყენა. მეორე ნახევარში, მიუხედავად იმისა, რომ გუნდის შემადგენლობა თითქმის მთლიანად გადახალისდა, ქართველთა უპირატესობა არ შემცირებულა, ხუთი უპასუხო გოლი ბრიტანელთა კარში და საბოლოო ანგარიში - 11:0.

ეს ჩვენი ნაკრების ისტორიაში ერთ-ერთი სარეკორდო გამარჯვებაა, ყველაზე დიდი უპირატესობით კი საქართველოს ფუტსალის ნაკრებმა 2015 წელს, მოლდოვაში, მსოფლიო პირველობის საკვალიფიკაციო ტურნირში გაიმარჯვა, როცა გიბრალტარს 15:1 სძლია.

მეორე ტურის პირველ შეხვედრაში შვეიცარიამ 3:0 დაამარცხა ისრაელი. ჯგუფის გამარჯვებულს საქართველო-შვეიცარიის დაპირისპირება გამოავლენს, რომელიც დღეს გაიმართება და ჩვენებს პირველობისთვის 1 ქულაც ჰყოფნით.

ჯგუფის გამარჯვებული მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე იასპარეზებს იტალიის, ჰოლანდიის და ბელარუსის ფუტსალის ნაკრებებთან ერთად. შესარჩევი მატჩები აპრილში გაიმართება. ჯგუფის გამარჯვებული ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურს მოიპოვებს, მეორეადგილოსანი საკვალიფიკაციო ტურნირის ფლეიოფში ითამაშებს, მესამეადგილოსანი კი იმ შემთხვევაში, თუ საუკეთესო მაჩვენებელი ექნა, ასევე ფლეი-ოფის საგზურს დაეუფლება.

**ბადრი იაშვილი**

◎ ლეგიონერი

# ფაჩულია დააჯარიმეს



**ნაციონალურმა საკალათბურთო ასოციაციამ „გოლდენ სტეიტის“ ქართველი ცენტრი ზაზა ფაჩულია არასპორტული საქციელის გამო 15 000 ამერიკული დოლარით დააჯარიმა. საბედნიეროდ, ზაზას მხოლოდ თანხის გადახდა მოუწევს და დისკვალიფიკაცია არ მისცეს.**

„მაიამისთან“ 105:102 წაგებულ მატჩში ზაზამ ლუკ ბებიტს სახეში ხელი გაარტყა.

**ვიტალი ჯაფარიძე**

# გიორგი გადრანი:

## „ევროპული ვარიანტებიც არის, მაგრამ არ ვჩქარობ და იმედი მაქვს, დადგება დრო, როცა ეროვნული ნაკრების მუდმივი წევრი ვიქნები“

**გიორგი გადრანი ოდესის „ჩერნომორეცის“ 22 წლის მცველია. ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელი უკრაინაში 2015 წლის დასაწყისში გადაბარგდა „გაგრადან“ ისე, რომ საქართველოს უმაღლეს ლიგაში ერთხელაც არ უთამაშია. მიუხედავად ამისა, ოდესაში გიორგიმ ნელ-ნელა სამწვრთნელო შტაბს თავი მოაწონა და ძირითად შემადგენლობაშიც მოიკიდა ფეხი. ყველაფერი კარგად მიდიოდა — „ჩერნომორეცში“ მუდმივად თამაშობდა და პარალელურად საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებშიც ასპარეზობდა, თუმცა, მერე მძიმე ტრავმა მიიღო და ფეხბურთს კარგა ხნით ჩამოშორდა.**

ბოლო დროს გადრანს კონდიციების აღსადგენად მეორე გუნდში უწევდა თამაში, მაგრამ ახლა, როგორც თავად გვითხრა, ეს ყველაფერი წარსულში დარჩა და პირველ გუნდთან ერთად ემზადება.

შემოთავაზებულ ინტერვიუში 22 წლის ფეხბურთელმა განაცხადა, რომ წინადადებები აქვს სხვადასხვა გუნდებიდან, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ „ჩერნომორეცთან“ კონტრაქტი მიმდინარე სეზონის ბოლოს ეწურება, გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობს. როგორც თავად ამბობს, სჯერა, რომ ძირითად შემადგენლობაში ადგილს დაიბრუნებს — ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებულიო.

გიორგისთან საუბრისას საქართველოს ნაკრების თემასაც შევეხეთ და ჩვენთვის უკვე ტრადიციული ბლიც-ინტერვიუც ჩავწერეთ.

**- როგორ მიმდინარეობს სეზონის მეორე წრისთვის მზადება?**

- შეკრებაზე ვართ ოდესაში, ხოლო 27 იანვარს სამი კვირით თურქეთში მივდივართ. ჯერჯერობით ყველაფერი რიგზეა და კარგად მიდის. გუშინწინ პირველი ლიგის გუნდ „ნიკოლაევთან“ გვქონდა თამაში.

**- მიმდინარე სეზონში „ჩერნომორეცი“ საკმაოდ კარგად გამოიყურება. რა არის საბოლოო მიზანი?**

- მართლაც, შარშანდელთან შედარებით უკეთესი შედეგი გვაქვს, რაც დიდი შრომის შედეგია. მიზანს რაც შეეხება — ექვსეულში შესვლაა.



**- კონტრაქტი როდემდე გაკავშირებს „ჩერნომორეცთან“?**

- მაისამდე და ვნახოთ, შემდგომ რა იქნება. ახლა ზუსტად არ ვიცი, დიდი ხანია არ მითამაშია ტრავმის გამო და ამის მიზეზიც ესაა.

**- კონტრაქტის გახანგრძლივებაზე საუბარი არ ყოფილა?**

- ჯერ მსგავსი არაფერი ყოფილა. კონტრაქტით აქამდე გუნდის წევრი ვარ და დაველოდოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ამ ეტაპზე ჩემი მიზანი სტაბილურად თამაშია და ახალი გუნდის ძიებაში არ ვარ.

**- შემოთავაზებები არ გაქვს სხვა გუნდებიდან?**

- ტრავმამდე იყო რამდენიმე ქვეყნიდან და, სიმართლე გითხრათ, ახლაც მაქვს რამდენიმე ვარიანტი, მაგრამ აქ მირჩევნია ჯერჯერობით ყოფნა და წასვლაზე არც მიფიქრია.

**- კონკრეტულად რომელი გუნდებიდან ან ქვეყნებიდან?**

- უკრაინა, ბელარუსი, რუსეთი და ევროპული ვარიანტებიც იყო, მაგრამ ახლა თავს შევიკავებ.

**- ტრავმა საბოლოოდ მოირჩინე?**

- დიახ, მოვირჩინე და უკვე ყველაფერი რიგზეა. უფლის წყალობით ყველაფერმა კარგად ჩაიარა. კონდიციების აღსადგენად პრაქტიკა მინდოდა რომ მქონოდა და ამიტომ მეორე გუნდში ვთამაშობდი, პირველ გუნდში ადგილი რომ დამებრუნებინა.

**- მთავარ მწვრთნელ ალექსანდრ ბაბიჩთან თუ გქონდა საუბარი, რამდენად ჯდები მის გეგმებში?**

- დიახ, პირადად მქონდა საუბარი და ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული. შანსი მაქვს, რა თქმა უნდა, რომ ისევ დავბრუნდე ძირითად შემადგენლობაში. ვნახოთ, ეს შეკრება გვიჩვენებს რა და როგორ. კონცენტრირებული მხოლოდ ძირითად შემადგენლობაში ადგილის დაბრუნებაზე ვარ.

**- როგორ ფიქრობ, რამდენად მოკლე პერიოდში შეძლებ ამას?**

- რა თქმა უნდა, შევძლებ და შემიძლია. ყველაფერი წინაა, მთავარია შეკრება კარგად გავიარო, დანარჩენი კი ჩემზე იქნება დამოკიდებული.

**- შენი ერთ-ერთი კონკურენტია დავით ხოჭოლავა, ისე კი „ჩერნომორეცი“ არ გამოირჩევა ბევრი ლეგიონერით. ამ მხრივ როგორი სიტუაციაა?**

- არამარტო ხოჭოლავა. აქ ყველა ყველას კონკურენტია. რაც შეეხება ლეგიონერებს, მართალია, ბევრნი არ ვართ გუნდში, რადგან აქცენტი ადგილობრივ ფეხბურთელებზე კეთდება და ძირითადად ახალგაზრდებითაა დაკომპლექტებული.

**- რა ხდება ოდესაში, როდესაც თამაშია. იგრძნობა ქალაქში ეს ყველაფერი?**

- სამწუხაროდ, ზოგადად უკრაინაში ფეხბურთი გაცილებით მაღალ დონეზეა, ვიდრე ჩვენთან. რა თქმა უნდა, იგრძნობა, რადგან საშინაო თამაშებზე ხალხი დადის, მითუმეტეს ამ ბოლო პერიოდში, როდესაც „ჩერნომორეცმა“ თამაში გააუმჯობესა. ეს ქალაქშიც იგრძნობა და თამაშის დროსაც — სტადიონზე.

**- საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებში გითამაშია, თუმცა, ჯერჯერობით ეროვნულში შანსი არ მოგცემია...**

- რა თქმა უნდა, ყველა ფეხბურთელის ოცნებაა ეროვნულ ნაკრებში თამაში და საკუთარი ქვეყნის ღირსების დაცვა. 21-წლამდელთა ნაკრების ძირითადი მიზანი ეროვნულისთვის ფეხბურთელთა მიწოდებაა და ერთ-ერთი კანდიდატი მეც ვიყავი, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, ტრავმის გამო ჯერჯერობით ეს ვერ მოვახერხე. იმედი მაქვს, რომ დადგება ის დღეც, როდესაც ეროვნული ნაკრების მაისურით არაერთხელ გამოვალ მოედანზე და დავიცავ ნაკრების ღირსებას.

**- დუბაის შეკრების წინ არ დაგიკავშირდნენ?**

- არა, რადგან უთამაშებელი ვარ და ბოლო პერიოდში მხოლოდ დუბლებში ვთამაშობდი. კიდევ გავიმეორებ, იმედია, ჩემი შრომით ეროვნული ნაკრების წევრი გავხდები.

### შემდგომ გიორგისთან საინტერესო ბლიც-ინტერვიუც ჩავწერეთ:

**- საუკეთესო მეკარე ისტორიაში?**

- ჯანლუიჯი ბუფონი.

**- საუკეთესო მცველი?**

- პაოლო მალდინი.

**- საუკეთესო ნახევარმცველი?**

- ანდრეა პირლო.

**- საუკეთესო თავდამსხმელი?**

- რონალდო (ბრაზილიელი).

**- საუკეთესო მწვრთნელი?**

- პეპ გვარდიოლა.

**- საუკეთესო გუნდი?**

- ბრაზილიის ნაკრები (2002 წლის გუნდი). სწორედ ამ გუნდმა შემაყვარა ფეხბურთი.

**- საუკეთესო გოლი?**

- დიეგო მარადონას მეორე გოლი 1986 წლის მუნდიალზე ინგლისის ნაკრების კარში.

**- თამაში, რომელიც არ დაგავიწყდება?**

- „ბარსელონა“ — „რეალი“ 5:0.

**გიორგი შოთაძე**

# წარსული გუგუნებს!

**თამაზ ბიბილური** – ნამდვილი მწერალი, მართალი, გულწრფელი, მგრძნობიარე, – ითქვა თამაზ ბიბილურისა და მისი მეუღლის, **თიურა ვაშაძის** ხსოვნის საღამოზე, რომელიც **აფხაზეთის კულტურის სამინისტროს** სააქტო დარბაზში გაიმართა.

შეხვედრას წარუძღვნენ ქალბატონი **ლია მეტრეველი** და ბატონი **როსტომ ჩხეიძე**.

თამაზმა ყველა ჟანრს წარმატებით დააჩნია თავისი ხელი, ყველგან განუმეორებელი კვალი დატოვა. რომ გამოიცეს ქართული რომანების სერია, შეუძლებელი იქნება მისი რომანის **„ჟამი კითხულისა“** გამოტოვება, ქართული მოთხრობის ანთოლოგია წარმოუდგენელია თამაზის **„ჩივილის“** გარეშე, ნოველათა კრებული სრულყოფილი ვერ იქნება, თუ არ შევა მისი **„ნიღაბი“**, ვერც საყმაწვილო წიგნების სერია გამოვა **„წელიწადის დრონის“** გარეშე და ვერც მინიატიურათა რჩეულში გამოიტოვება თამაზ ბიბილურის მინიატიურები **„ბოლოკეთილი“** და **„დამშვიდობება“**. – ესეც შეხვედრის დროს ბრძანა ბატონმა როსტომმა. იქვე მწერლის **ესეებიც** გაიხსენა **ილია ჭავჭავაძეზე, გიორგი ლეონიძეზე,** სხვებზე და დაასკვნა: ამ ნაწერების, საერთოდ, თამაზ ბიბილურის ნააზრევის გათვალისწინება სრულიად აუცილებელია შემდეგი დროის მკვლევართათვის.






თამაზ ბიბილურის სახელი თითქოს მთლად მივიწყებული და მიჩუმათებულიც არ არის. გამოცემულია მისი წიგნები, თარგმნილია უცხო ენებზე, მისი მოღვაწეობა სახელმწიფო პრემიითაც აღინიშნა, ხსოვნის საღამოც გაიმართა, მაგრამ ძალიან უკმარია ეს ყველაფერი იმასთან შედარებით, როგორი დაფასებაც ეკუთვნის სიტყვის ოსტატს. ერთხელ **გიორგი შატბერაშვილს** უხუმრია: წერა რომ არ იცის და მაინც წერს, ასეთი ბევრი მინახავს და წერა რომ იცის და არ წერს, ასეთი მარტო თამაზიაო.

თურმე, ბევრ დროსართმევდა გაზეთ **„ახალგაზრდა კომუნისტში“** მუშაობა. დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ყოველ საქმეს და, რა თქმა უნდა, ყოველდღიურ საგაზეთო სამუშაოსაც. შემოქმედებისთვის კი ნაკლები დრო რჩებოდა. **ვახტანგ ჭელიძეს** გააცნო მისი ნაწერები თამაზის თანაკურსელმა **ჯანსუღ ჩარკვიანმა**, მანვე წაუკითხა იქვე, სახელდახელოდ ხელნაწერი და, როგორც მოსალოდნელი იყო, **„ცისკრის“** რედაქტორმაც მაშინვე შეიცნო ნამდვილი, წრფელი შემოქმედი, დააფასა მისი ნიჭი, უნარი, შესაძლებლობები და ლიტერატურაში გზა დაულოცა, მოგვიანებით კი სულაც თავისთან გადაიყვანა სამუშაოდ **„ლიტერატურული საქართველოს“** რედაქციაში, და ყოველგვარი პირობები შეუქმნა წერისთვის. და მერე ვახტანგ ჭელიძე იყო ის კაცი, ვინც, ფაქტობრივად, დაავალდებულა, რომ დაეწერა რომანები **„ჟამი კითხულისა“** და **„შვიდი ხმისა და ტოროლასათვის“**. სნობური საზოგადოებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ **გურამ ასათიანმა „ჟამი კითხულისა“ გაბრიელ გარსია მარკესის „პატრიარქის შემოდგომას“ შეადარა და მასზე უკეთესადაც კი აღიარა.** თამაზ ბიბილური წერდა ისეთ საკაცობრიო და ზედროულ საკითხებზე, როგორებიცაა: ინდივიდის თავისუფლება, გამოგონილი კერპების რწმენა და მსხვრევა და სხვა.

**ბატონი როსტომის თქმით, მწერლის შემოქმედების დამცრობაა, როცა ცდილობენ პერსონაჟებში კონკრეტული ადამიანების ამოცნობას, კერძოდ, როცა ამბობენ, რომ ესა თუ ის ნაწარმოები სტალინის კრიტიკაა. მარტო სტალინის კი არა, საერთოდ დიქტატორის, ყველა დროისა და ყველა ეროვნების დიქტატორის კრიტიკაა ბიბილურის რომანი, ისე განზოგადებულია მოვლენები და ხასიათები.**

**მწერლის კიდევ ერთი ნიშანდობლივი თვისება გამოკვეთა ორატორმა: ისე წერდა, რომ თავბრუდამხვევი ამბისა და, საერთოდ სიუჟეტის გარეშეც მისი ტექსტი საოცრად მიმზიდველი და მომხიბვლელი გახლდათო. ეს კი მწერლისეული ოსტატობაა ან, თუ გნებავთ, მომაჯადოებელი უნარი უწოდეთ.**

თამაზ ბიბილურს ძალიან ჰყვარებია თეატრი, ეს სიყვარული კი მის ნაწერებშიც თვალსაჩინოდ აირეკლა. ხშირად ახსენებს წარმოდგენას, თეატრს, გარდა ამისა, ხშირად ბუნება მის ნაწერებში დეკორაციის როლს, ფუნქციას ასრულებს. ასე, ამ პრინციპითაა დაწერილი საბავშვო თხზულებაც **„წელიწადის დრონი“**, რომელიც პროფესიონალ მკითხველთა მიერ შეფასებულია, როგორც **იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარის“** უშუალო გაგრძელება.

იმდღევანდელი შეხვედრა ჩაფიქრებული გახლდათ თეატრალიზებულ წარმოდგენად. ძალიან მოუხდა საღამოს ქალბატონი **ელდინო საღარაძის** მიერ პროფესიულად წაკითხული მინიატიურა **„ცის გახსნა“**. სხვადასხვა ნაწარმოები, იქნებოდა ეს **„წელიწადის დრონი“** (ფინალი), ესეი **„ბატონი უნივერსიტეტი“** თუ მინიატიურა **„მკათათვე“** წაიკითხეს აგრეთვე თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებმა: მაია **ოქრუაშვილმა, ოლია წიკლაურმა** და **ზურაბ ხვიჩიამ.** სასიამოვნოა, რომ ეს ახალგაზრდები ჭეშმარიტ ღირებულებებზე იზრდებიან. შეხვედრას მუსიკალურად აფორმებდა ამავე უნივერსიტეტის ანსამბლი **„ივერია“** (ხელმძღვანელი **ეთერ მიშელაძე**). მომღერლები ატკბობდნენ მსმენელს ქართული გალობით. მშვენიერი იყო **ლალი ჯგერენაიას** მიერ შესრულებული **მეგრული „ნანა“**.

მეუღლე მწერლისა, სულისა სწორი, **თიურა ვაშაძე**, ჟურნალისტი გახლდათ. მან უპატრონა, მან გამოსცა მეუღლის გარდაცვალების მერე მისი ნაწერები, მანვე გამოაქვეყნა **კონსტანტინე გამსახურდიას** უცნობი წერილები, პირველი მეუღლის, **რებეკა ვაშაძისადმი** მიწერილი.

**თავის დროზე ქალბატონ თიურას ინტერვიუ ჩაუწერია უკვე ცნობილ, აღიარებულ მწერალთან. სხვათა შორის, მას უკითხავს, რებეკასი ვინ ხარო? და როცა პასუხად მიუღია, ძმისშვილიო, გამოუკითხავს, ეზოში ისევ დგას თუ არა ჩემი საყვარელი მაგნოლია, და გაზაფხულზე ისევ ყვავიან თუ არა კლდის ძირას შეჭრილ ტყეში იები და ყოჩივარდებიო? ასე გამოუხატავს მონატრება, სიყვარული, რომანტიკული სული... ისიც დაუმატებია, სიცოცხლეში ორ ქალს ვუყვარდი ნამდვილად, დედაჩემს და ჩემს პენელოპესო. წერილების გამოქვეყნების შემდეგ ცხადი გახდა, პენელოპეს იგი მეუღლეს, რებეკა ვაშაძეს ეძახდა...**

ამ წერილებზე ააგო **როსტომ ჩხეიძემ** თავისი ახალი ბიოგრაფიული რომანი **„პორტრეტი ოდისევსის სიჭაბუკისა“**.

**საღამოზეც გახმიანდა რამდენიმე ფრაგმენტი ამ წერილებიდან.**

**სხვა კონსტანტინე გამსახურდია დაიხატა მსმენელის წინაშე – „ვეფხისტყაოსნის“ ტარიელის მსგავსი, სიყვარულით გახელებული და მისთვის თავშეწირული, ან თითქოს ალექსანდრე ყაზბეგის პერსონაჟი ყოფილიყოს. სხვანაირი ხალისი და გამოცოცხლება შემოიტანა ამ წერილებმა დარბაზში.**

**და რა სასიამოვნოა, რომ დამსწრეთა და მონაწილეთა შორის მრავლად იყვნენ ახალგაზრდები, ვინც სულის საზრდოს ახლა ეძებს, ჭეშმარიტისა და ყალბის, მართლისა და გამოგონილის გარჩევას ახლა სწავლობს და მომავალში სხვათა შეფასება-დაფასების გზასაც, სწორი ორიენტირების წყალობით, იმედია, შეუცდომლად გაიგნებს.**

**ნინო ვახანია**

სანთელი

# ალკაზარ (ალეკო) კაკულია



**გარდაიცვალა ცნობილი საზოგადო მოღვაწე, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, მრავალმხრივ განათლებული პიროვნება, ღირსების ორდენოსანი, პუბლიცისტი, პოეტი და მთარგმნელი, თბილისის კოლორიტული პიროვნება ალკაზარ (ალეკო) კაკულია.**

**1937 წელს დაიბადა ქ. ფოთში. 1963 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი სამოქალაქო მშენებლის სპეციალობით, 1985 წელს კი მოსკოვის სახალხო მეურნეობის მართვის საკავშირო ინსტიტუტი. შრომითი საქმიანობა „მთავართბილმშენში“ დაიწყო. შემდეგ პარტიულ სამუშაოებზე კომკავშირის ცეკასა და პარტიის ცკ-ში. კურირებდა „ენგურჰესის მშენებლობას. 1984 წლიდან რესპუბლიკურ გაერთიანება „საქკოლმშენშია“ თავმჯდომარის მოადგილედ, სასოფლო მშენებლობის მინისტრის მოადგილე, „საქაგრომშენის“ თავმჯდომარის მოადგილე, 1991 წელს აირჩიეს საქართველოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლმშენკომპლექსის“ თავმჯდომარის მოადგილედ.**

**წლების მანძილზე ეწეოდა საზოგადოებრივ საქმიანობას, 1965 წლიდან ხელმძღვანელობდა საქართველო-ჩეხეთის კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობის საზოგადოებას, შესანიშნავად ფლობდა ჩეხურ ენას, თარგმნილი და გამოცემული აქვს რამდენიმე წიგნი. იყო საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა საენციკლოპედიო საგამომცემლო ფონდის თავმჯდომარე, გაზეთ „აღმშენებლობის მემატიანის“ მთავარი რედაქტორი. 2000 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.**

**თვითნაბადი ნიჭის წყალობით იყო უშესანიშნავესი ლექსების ავტორი, მის 25 ლექსზე პოპულარული სიმღერებიც შეიქმნა, რომლებსაც მისი და, უშესანიშნავესი მომღერალი ეთერ კაკულია ასრულებდა.**

**დატოვა შესანიშნავი ოჯახი, სანათესავო და დიდი სამეგობრო, შაბათს თბილისი უკანასკნელად გამოეთხოვება ამ სიცოცხლის მოყვარულ უკეთილშობილეს ადამიანს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.**

**მეგობრები**

# ალეკო კაკულიას ხსოვნას

**ჩემს მეხსიერებაში ალკაზარ (ალეკო) კაკულია მხოლოდ ისეთი დარჩება როგორიც ფოტოზეა. კაცთმოყვარე და მაღალი კულტურის პიროვნება, ყოველმხრივ განათლებული და მხიარული განწყობის ადამიანი, სამშობლოს და მეგობრებისთვის ერთგული კაცი, კოლხეთის ბრწყინვალე წარმომადგენელი, რომელსაც „სამშობლოსთან არაფერი არ შეშლია!“.**



**ალეკო იყო: – კარგი შვილი, ძმა, მეუღლე, მამა, ბაბუა.**

**ჩემს მშობლებს ოთხი შილი ჰყავდათ, დედაჩემი თამარი კი –„კარი გაუღეთ იტყოდა, ჩქიმი ალეკო მურსია!“ ალეკოსაც თავისად თვლიდა,– ჩვენც და ჩვენი დედმაშვილის ოჯახებიც!**

**ეს ფოტო ჩემი გადაღებულია და როდესაც მას დავხედავ, მეც ვიმუხტები იმ ძლიერი ენერგიით, რა ენერგიითაც გადმოგვცემს ალეკო ქართული მელოდიის ძალას, სითბოსა და სიტკბოს!**

**უფალო, ნათელში ამყოფე მისი სული!**

**სულიკო როგავა ოჯახით.**

ქ. მოსკოვი. 26.01.17.

---

**მეუღლე ნინო ბეჟიტაშვილი, შვილები თამთა, ირაკლი კაკულიები, რძალი ანი გოკიელი, სიძე დავით გოგორიშვილი, შვილიშვილები ნინია, მარიამ კაკულიები, ნინია, მარიამ გოგორიშვილები, დისწული ალეკო ვაჩიბერიძე ოჯახით, თათია ბეჟიტაშვილი ოჯახით, მძახლები მარიკა ლომთათიძე, ნანი, დავით გოგორიშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან**

## ალკაზარ (ალეკო) ირაკლის ძე კაკულიას

**გარდაცვალებას.**

**პანაშვიდი 27.I. მისამართი სულხან ცინცაძის №30 (საბურთალოს ქ.№40). დაკრძალვა 28. I. 15 სთ. გამოსვენება ანტონ-მარტყოფლის სახ. ეკლესიიდან (იპოდრომის მიმდებარედ).**

---

**უახლოესი მეგობრები ბონდო ჯიქია, ამირან როგავა, ოთარ ჭითანავა, ბიჭი დადიანი, დემიკო ლოლაძე, გივი აბდუშელიშვილი, ლონდერ ცაავა, პავლე ქვაჩახია, ირაკლი მოწერელია, ნუგზარ იზორია, ზურაბ გოგოხია, გივი სოსელია, მურმან ნაჭყებია, ჯემალ კვირტია, ანზორ ჭითანავა, ლერი ჭითანავა, შიო ლარცულიანი, გოგი ბერიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან უშესანიშნავესი პიროვნების, ქალაქის კოლორიტისა და საზოგადო მოღვაწის**

## ალკაზარ (ალეკო) კაკულიას

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

სულთათანა

# მადლობა იმისთვის, რომ არსებობდი!



**ვახტანგ იმნაიშვილს** ვემშვიდობებით... შიშით ველოდით ამ დღეს მისი მძიმე ავადობის მცოდნენი... ათიოდე დღის წინათ, მისი სახელოვანი მამის, პროფესორ ივანე იმნაიშვილის, საიუბილეო სამეცნიერო კონფერენციაზე მოხსენების წაკითხვა ველარ შეძლო; მეგობარს სთხოვა, წაიკითხეო... ექიმები და ოჯახის წევრები უნივერსიტეტში მოსვლასაც უშლიდნენ, მაგრამ „ვერ ვუღალატებ მამაჩემსო“, — უთქვამს და 12 იანვარს უკანასკნელად მოვიდა თავის სათაყვანო უნივერსიტეტში... ბოლომდე ვერც გაძლო...

დღეს გვიჭირს ამ უბედურების გააზრებაც კი... მოგონებებისა და პროფესორ ვახტანგ იმნაიშვილის ღვაწლის შეფასების დროც დადგება; ორიოდე წელში ოთხმოცი წელი შეუსრულდება...

მის სტუდენტს მოუკრავს ყური ექიმისა და ბატონი ვახტანგის დიალოგისათვის: „რომელ უნივერსიტეტში ასწავლითო“, - უკითხავს ექიმს. „უნივერსიტეტი ერთი ვიცი მე! ჯავახიშვილისო!“ — უპასუხია მკვეთრად. ამ შეგნებით ემსახურა ვახტანგ იმნაიშვილი დედაუნივერსიტეტს ნახევარი საუკუნის მანძილზე... ემსახურა თავდადებით, ერთგულებით, საქმის დიდი სიყვარულით!.. გულმოკლული წერს მისი სტუდენტი: ეს იყოო „ადამიანი, რომელმაც მრავალი საიდუმლო იცოდა ქართული ენისა და ფრთხილად შეჰყავდა მის მზიან ჩრდილებში თავისი შეგირდები, რომ არ დაეფრთხო, რომ ქართული ენის სიანკარისათვის უჭირველად ეზიარებინაო“...

ვახტანგ იმნაიშვილის წასვლა ამ სამზეოდან არ არის მხოლოდ ქართული საუნივერსიტეტო საზოგადოების დანაკლისი; ქართულმა ენამ დაკარგა თვალსაჩინო მკვლევარი, ერთგული ქომაგი და დამცველი; სტუდენტობამ — უსაყვარლესი ლექტორი და უფროსი მეგობარი; კოლეგებმა — ერთგული თანამდგომი და მხარდამჭერი ყველა საქმეში...

სანიმუშო იყო მისი პროფესიონალიზმი. აკაკი შანიძის ღირსეული მოწაფე მაგალითი იყო საქმის ერთგულებისა. წლების მანძილზე ჩვეული ენთუზიაზმით გერმანიისა და ავსტრიის უნივერსიტეტებში კითხულობდა ლექციებს ქართულ ენაში, ლიტერატურასა და კულტურაში; უწევდა კონსულტაციებს იქაურ ქართველოლოგებს... დაუღალავად ეძებდა ევროპის წიგნთსაცავებში მიმობნეულ ქართულ ხელნაწერებს, ევროპელი ქართველოლოგებისა თუ ქართველი მეცნიერების ნაშრომებსა და წერილებს; იკვლევდა და გამოსცემდა მათ... და დაგვიტოვა უძვირფასესი წიგნები... სულ ახლახან ჩინებული წიგნი გამოსცა ქართული ენის საჭირბოროტო საკითხებზე და ანდერძად დაგვიბარა — მოუარეთ ქართულ ენასო...

ბევრი რამის თქმა გვინდა, ძვირფასო ვახტანგ, მაგრამ გვიჭირს საუბარი... გვაპატიე...

მადლობა იმისთვის, რომ არსებობდი!

მშვიდობით, ჩვენო ძვირფასო მეგობარო!

**მანანა ტუსკია, ელენე კოშორიძე, ლეილა გეგუჩაძე, მაია კვეზერელი-კოპაძე, ავთანდილ არაბული, მურმან სუხიშვილი, თამაზ ჯოლოგუა, გიორგი გოგოლაშვილი**

# მსჯავრდებულთა და ყოფილ მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია

**სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში და პარტნიორი ორგანიზაციები კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების რესოციალიზაციის ახალი პროექტების განხორციელებას იწყებენ.**

ექვსი ახალი პროექტი ევროკავშირის მიერ ფინანსდება, რომელთა პრეზენტაციას სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მოადგილე ზვიად მიხანაშვილი, პრობაციის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ზაზა გრიგოლია, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ.




პროექტების მიზანია პატიმრების, ყოფილი პატიმრების, პირობითი მსჯავრდებულებისა და კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვებისა და მოზარდების რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ხელშეწყობა. პროექტში მონაწილე ორგანიზაციები სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსთან ერთად, სამიზნე ჯგუფებისთვის პროფესიული განათლებისა და დასაქმების შესაძლებლობების გაზრდის, მათი ფსიქოსოციალური და სამედიცინო დახმარების, ასევე, დანაშაულის პრენევენციის მიმართულებით იმუშავებენ.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მოადგილის ზვიად მიხანაშვილის განცხადებით, აღნიშნული პროექტების განხორციელება ძალიან მნიშვნელოვანი და სასჯელაღსრულების სისტემისთვის წინგადადგმული ნაბიჯია. მისი თქმით, სამინისტრო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სწორ მენეჯმენტსა და გრძელვადიან დაგეგმვას.

საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის სექტორის მენეჯერის **კაიდო სირელის** განცხადებით, აღნიშნული პროექტები ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის გაწეული მხარდაჭერის ფარგლებში განხორციელდება.

„ჩვენ უკვე რამდენიმე წელია მართლმსაჯულების სფეროში ვთანამშრომლობთ და საქართველო მართლაც წარმატებული შემთხვევაა. ჩვენი თანამშრომლობა სასჯელაღსრულების სამინისტროსთან არ ეხება მხოლოდ დანაშაულსა და სასჯელს, არამედ ვგულისხმობთ საზოგადოების მხარდაჭერას კანონთან კონფლიქტში მყოფ ადამიანებთან დაკავშირებით. პატიმრების რესოციალიზაციის მიზნით, გათვალისწინებული გვაქვს პროფესიული გადამზადების კურსები, ასევე, პროექტით გათვალისწინებულია ფსიქოლოგიური დახმარების გაწევა. ჩვენი ერთ-ერთი მიმართულებაა ასევე, ახალგაზრდებთან, არასრულწლოვნებთან მუშაობა დანაშაულის პრევენციის მიზნით“, —განაცხადა კაიდო სირელმა.

---

გულისტკივილით ვემშვიდობებით ჩვენს საყვარელ და თბილ

## ალეკო კაკულიას



ნინოს მეგობრები: მანანა ფხაკაძე, ლია ჯანაშია, ნინო ხელაშვილი, ცისანა შარტავა, ლუიზა მაჭავარიანი, მზია არზიანი, ლიკა ქართველიშვილი, ქეთინო მიქაძე, ლია დოლონაძე, ლალი თევზაძე, მარინა იოსელიანი, ირა კობახიძე, ეთერ ჯაფარიძე, თამრიკო სიმვულიდი.

---

ზაირა ოჯახით, ზოია, იზოლდა, ნაირა, დალი, ემანუელ და ჯემალ სიორდიები, ნელი და ზაურ ფხალაძეები დიდი გულისტკივილით ღრმა მწუხარებას გამოხატავენ უახლოესი ადამიანის, ჭეშმარიტი მამულიშვილის, ღირსეული პიროვნების, კეთილშობილებით, სათნოებით, სიკეთით, გულისხმიერებით და მაღალი პროფესიონალიზმით თავისი საქმისადმი აღსავსე პიროვნების

## ალეკო კაკულიას

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სამარადისო ხსოვნა მის ნათელ სახელსა და სულს, ამინ!

---

რევაზ, მერაბ და მამუკა კაკულიები იუწყებიან

## ალეკო კაკულიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ხსოვნა

ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ ჩემი მასწავლებლის, აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას ქალიშვილის

## რუსუდან ჯანაშიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს ვუცხადებ ოჯახს.

**მარიამ ლორთქიფანიძე**

---

ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი სწავლული ენათმეცნიერი, უმაღლესი სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი

## რუსუდან სიმონის ასული ჯანაშია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

შვილები მედეა ჩიკვაიძე, დავით კაჭკაჭიშვილი, სიძე ელიზბარ ლომინაძე, რძალი მარინა მოსეშვილი, შვილიშვილები სულხან ლომინაძე, რძალი თეა აბაშიძე, ქრისტინე კაჭკაჭიშვილი, სიძე ირაკლი ბერძენიშვილი, შვილთაშვილები ანა, სალომე ლომინაძეები, ლიზა, დავით ბერძენიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

## ელეონორა (კუკურა) ვაშაკიძე - კაჭკაჭიშვილი

პანაშვიდი 27,28 I, 16 სთ. მისამართი: იოსელიანის №37. III სადარბაზო, III სართული, ბინა 66.

დაკრძალვა 29 I, 14 სთ. საბურთალოს სასაფლაოს წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიიდან („ფაზისთან“ ასახვევი, უნივერსიტეტის ქუჩა).

---

სანთელი

# ოთარ ზენაიშვილი



პარაზიტოლოგიის ინსტიტუტის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება ღვაწლმოსილი ექიმის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, ღირსების ორდენის კავალრის, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის სახელობის პრემიის ლაურეატის, ცნობილი მეცნიერისა და პედაგოგის, პროფესორ **ოთარ ზენაიშვილის** გარდაცვალებას. ბატონი ოთარი 60 წელზე მეტხანს მოღვაწეობდა სამედიცინო პარაზიტოლოგიის ინსტიტუტში. ის არის ავტორი 200 -ზე მეტი სამეცნიერო - პრაქტიკული ნაშრომისა და რამდენიმე მონოგრაფიის. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 15 საკანდიდატო და სადოქტორი დისერტაცია, აღზრდილია ექიმ- პარაზიტოლოგთა რამდენიმე თაობა. ჩვენი ინსტიტუტის კოლექტივი უსამძიმრებს ბატონი ოთარის ოჯახს და ქართველ სამედიცინო საზოგადოებას უდიდესი პიროვნების დაკარგვის გამო.

დღესასწაული

# გილოცავთ ნინოობას!

## ქართველთა განმანათლებელი მოციქულთა სწორი ქალწული ნინო



**27 იანვარს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია იხსენიებს ქალწულ ნინოს, ჩვენს წმინდა დედას, მოციქულთა თანასწორსა და ქართველთა განმანათლებელს.**

საქართველო ყოვლაწმინდა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. სულიწმინდის მადლის მოფენის შემდეგ მოციქულებმა წილი ჰყარეს, თუ ვის რომელი ქვეყანა უნდა რგებოდა საქადაგებლად, ყოვლაწმინდა ღვთისმშობელს ხვდა იბერია, მაგრამ, როდესაც დედა ღვთისამ დააპირა საქართველოსკენ წამოსვლა, მას ანგელოზი გამოეცხადა და უთხრა: „ნუ განეშორები იერუსალიმს. ხდომილი ქვეყანა შენი განათლდების მომავალში, შენი მეუფება განემტკიცების იქ".

ყოვლაწმინდა ღვთისმშობელმა მარიამმა გამოარჩია კეთილმორწმუნე კაბადოკიელი ასული – ნინო, რომელსაც ოცნებად ჰქონდა გადაქცეული იმ ქვეყნის ნახვა, სადაც მაცხოვრის წმინდა კვართი ინახებოდა და ევედრებოდა ღვთისმშობელს, დახმარებოდა ამ წმინდა მიზნის განხორციელებაში. ცნობილია, რომ ქალწულ ნინოს კეთილად აუხდა ოცნება – ძილში გამოეცხადა ღვთისმშობელი და უთხრა: „გაემგზავრე იბერიაში, დაამკვიდრე იქ სახარება და მე ვიქნები შენი შემწე". შემდეგ ვაზის ტოტების ჯვარი გადასცა მას და დასძინა: „ეს იქნება შენი მფარველი გაჭირვებაში, ყოველი ხილული და უხილავი მტრის წინააღმდეგ... ძალითა მისითა დაამყარებ იქ სიტყვას ძისა ჩემისას, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი". ნინოს გაეღვიძა. მას სწორედ ის ჯვარი ეპყრა ხელთ, რომელიც ძილში მისცა ღვთისმშობელმა.

ქართველთა განმანათლებელს უწინამძღვრა სწორედ ამ ჯვარმა! წმინდა ნინო სოფელ ბოდბეში გარდაიცვალა.

ამ დღესასწაულზე წმინდა ნინოს ჯვარს გამოაბრძანებენ საკათედრო ტაძრიდან, სამების ტაძარში დააბრძანებენ, რათა მრევლი ეამბოროს და თაყვანი სცეს ნინოს ჯვარს.

**გიული ლიპარტია**

ვერნისაჟი

# ხუთასი მხატვრის ხუთასი ნამუშევარი





**ზურაბ წერეთლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმმა თავისი სივრცე მართლაც უნიკალურ გამოფენას დაუთმო – თანამედროვე მხატვართა, მოქანდაკეთა და დეკორატიული ხელოვნების მოღვაწეთა თითო ნამუშევარმა დაამშვენა მუზეუმის სამი უზარმაზარი დარბაზი. თანამედროვე 500 შემოქმედის ერთ საგამოფენო სივრცეში განთავსებული ნამუშევრები მართლაც უნიკალური მოვლენაა. გამოფენის გახსნას უამრავი ადამიანი დაესწრო. ხელოვანთა, ხელოვნების მოყვარულთა და დამფასებელ-შემფასებლებთან ერთად მრავლად იყვნენ დედაქალაქის სტუმრებიც. ფერწერა, გრაფიკა, სკულპტურა, მოზაიკა, კერამიკა, ხეზე და ლითონზე ნაკვეთი ხელოვნების ნიმუშები, ყველა თაობის ქართველ მხატვართა თითო ნამუშევარი მართლაც არნახულ საზეიმო, ამაღლებულ განწყობას ქმნიდა.**

**გამოფენა „ქართველი მხატვრები", რომელიც საქართველოს მხატვართა კავშირის ინიციატივით გაიხსნა, 20 თებერვლამდე გასტანს.**

**ელგუჯა ნადარეიშვილი,**
**ავტორის ფოტოები**







## ბრაზილიას ყვითელი ციებ-ცხელება ემუქრება



**ბრაზილიაში შესაძლოა, ყვითელი ციებ-ცხელების ეპიდემია გავრცელდეს.** ამის შესახებ ქვეყნის ჯანდაცვის სამინისტრო იტყობინება. უწყების მონაცემებით, უკვე გამოვლენილია ინფიცირების 70-მდე შემთხვევა. მათგან 40 ლეტალური შედეგით დასრულდა. ინფიცირებულთა მეტი წილი მინას-ჟერაისის შტატზე მოდის.

## ჩილეში ხანძარს ებრძვიან



**ჩილეში ხანძრის ლოკალიზებას ამ დრომდე ვერ ახერხებენ.** ტყის მასივში გაჩენილმა ხანძარმა ათობით ჰექტარი ფართობი გაანადგურა. მეხანძრეების დასახმარებლად შეერთებულმა შტატებმა ჩილეში „ბოინგ 747" გაგზავნა. აშშ-ს გარდა, სტიქიასთან ბრძოლაში ჩილეს დახმარებას მექსიკა, პერუ და საფრანგეთის უწევს.

## ოლბრაიტი მზადაა, ისლამი მიიღოს

**ამის შესახებ ამერიკის ყოფილი სახელმწიფო მდივანი სოციალურ ქსელ ტვიტერში წერს.**



„მე გავიზარდე კათოლიკედ, შემდეგ ეპისკოპალური ეკლესიის აღმსარებლობა მივიღე, მოგვიანებით შევიტყვე, რომ ებრაული ოჯახიდან ვიყავი. ახლა კი მუსულმანებისთვის სოლიდარობის ნიშნად მზად ვარ, ისლამური რელიგიის მიმდევრად დავრეგისტრირდე,"-წერს ოლბრაიტი.

ამ ფორმით ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა პროტესტი თეთრი სახლის ლიდერს გამოუცხადა, რომელმაც მუსლიმანური ქვეყნების მიმართ საემიგრაციო პოლიტიკა გაამკაცრა.

## რუსები სირიელ ქურთებს ავტონომიას სთავაზობენ

**რუსეთის მიერ შემუშავებული სირიის კონსტიტუციის პროექტი არაბულ რესპუბლიკაში ქურთული ავტონომიის შექმნასაც ითვალისწინებს.** ამის შესახებ სააგენტო „ინტერფაქსს" სირიის ოპოზიციიდან აცნობეს.



მათივე თქმით, დოკუმენტის თანახმად, სირია უნიტარულ სახელმწიფოდ უნდა დარჩეს, შარიათის კანონები უნდა გაუქმდეს, პრეზიდენტს კი მეორე 7-წლიანი ვადით არჩევა უნდა აეკრძალოს. ახალი კონსტიტუციით, პრეზიდენტის პოსტის დაკავების უფლება არამხოლოდ მუსლიმანებს მიეცემათ. რუსეთმა სირიის ოპოზიციას კონსტიტუციის პროექტი ასტანაში გამართულ მოლაპარაკებებზე გადასცა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე"

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში"
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა ყველაზე სანდო გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე

სრ

**უცხოური ვალუტის კურსი:**

აშშ დოლარი - 2.6922; ევრო - 2.8941;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3846;
100 რუბლი - 4.5423; თურქული ლირა - 0.7059;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4278;
1000 სომხური დრამი - 5.5384.

**ამინდი 27 იანვრისთვის**

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე -4 | დღე +5 |
| მთიანი რაიონები - | ღამე -6 | დღე 0 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე -1 | დღე +5 |
| მთიანი რაიონები - | ღამე -5 | დღე +2 |
| თბილისი: | ღამე 0 | დღე +3 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE